# 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა!
# 28 მაისს „გარეჯობაა“!

„ჩვენი სამშობლო არის საჩუქარი ღვთისა, კარიბჭე ბედნიერებისა, კარიბჭე სასუფევლისა“

*ილია II*




მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №10(96) 2015 წ. 16-31 მაისი ფასი 50 თეთრი

# „ოდესმე დიდი ქოფილა საქართველო“




## 26 მაისი საგარეჯოში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელშიც ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები იღებდნენ მონაწილეობას. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში. პარალელურად მიმდინარეობდა კონცერტი. კულტურის სახლის მცირე დარბაზში მოეწყო მხატვარ ნინო ჯანგულაშვილის პერსონალური გამოფენა, რომელსაც უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა. მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა მხატვარს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და ფასიანი საჩუქარი გადასცა.

*ვანდა ჯავახიშვილი*



მუხრან მაჭავარიანი.

## შენ სისხლო ჩემო

შენ-
სისხლო ჩემო – სად არ დაღვრილო...
შენ-
სად არ გხვრეპდა შავი ყორანი...
ვინ გაგაკვირვოს,
ვინ გაგაკვირვოს,
რომ გაგაკვირვოს ,-
ნადიდგორალი,
ნაშამქორალი.
შენ –
სისხლო ჩემო –
შენი ღვაწლია,
რამაც აქამდეც კი მოაღწია:
სვეტიცხოველი...
ხანძთა ...
ვარძია
და ისიც,-
რაც მტერს წარუტაცნია.
შენ-
სისხლო ჩემო –
შენი დინება
ვეფხისტყაოსნით ხშირად მიგრძვნია...
სიტყვა, რომელიც გეჩოთირება –
ვცდილობ – გაშორო, -
რაც შემიძლია.
შენ –
სისხლო ჩემო –
სისხლო ხნიერო,
დაუცხრომელო და უცნაურო ...
საბედნიეროდ,
საბედნიეროდ, -
ჰაი, ჰაი, რომ
კიდევ ხმაურობ.









## მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა



**20 მაისი, 2015 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე* ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა. დღის წესრიგის საკითხების გაცნობის შემდეგ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ შიბლიანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის – ფართით 10000.00 კვ. მეტრი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების №01 სკოლა-გაშენების ფართი 223კვ.მ. №2 დამხმარე ნაგებობა – 37.8 კვ.მ. პირდაპირი განკარგვის წესით. დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანის სკოლისთვის გადაცემის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა* გიორგი ქურდოვანიძემ** (თანამომხსენებელი ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე* ელდარ მეფარიძე**).

დღის წესრიგის № 2,3,4,5 საკითხებზე, რომლებიც შეეხებოდა მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურში დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეკეთებასა და ქ. საგარეჯოში, მშვიდობის ქუჩაზე არსებული ე.წ. „გუსარიშვილის“ სასმელი წყლის ჭაბურღილის ტუმბოს დემონტაჟის, რეაბილიტაცია და მონტაჟის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელებას,ამასთან,მომხსენებელმა გააკეთა ინფორმაცია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების მანავისა და უჯარმის ხევების გაწმენდისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების შესასრულებლად სპეცტექნიკის მომსახურეობის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსმა* ბექა ფეიქრიშვილმა.** (თანამომხსენებელი **ელდარ მეფარიძე**). როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სოფელ ბადიაურში დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალიდან სასმელ წყალს ათეულობით ოჯახი იღებდა. დღეს მათ წყლის მიუღებლობა გარკვეულ სირთულეებს უქმნით. ხოლო რაც შეეხება საგარეჯოში მშვიდობის ქუჩაზე არსებულ „გუსარიშვილის“ სასმელი წყლის ჭაბურღილს, ის გამართულ მდგომარეობაში სასმელი წყლით ამ ქუჩაზე მცხოვრებ 15 ოჯახს ამარაგებს...

საკითხის განხილვისას ***მანავის მაჟორიტარმა დეპუტატმა* ნიკო ბიუაშვილმა** ითხოვა გაეთვალისწინებინათ გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში სტიქიური წვიმებით გამოწვეული წყალდიდობით მოსალოდნელი ზარალი და მანავში არსებული ყველა ხევისთვის შეძლებისდაგვარად ჩაეტარებინათ გაწმენდისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები. გაირკვა, რომ სხდომაზე გამოტანილი საკითხი მანავსა და უჯარმაში არსებული თითქმის ყველა ხევს ეხებოდა.

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონსულტაციო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ინფორმაცია გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა იურიდიულ საკითხებში* გიორგი გოგოჭურმა** (თანამომხსენებელი ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული სამსახურის უფროსი* ალექსანდრე მეზვრიშვილი**).

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, აღნიშნული საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №108 განკარგულებით დანიშნული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის I მოადგილე გიორგი რევაზიშვილი, რომელიც დღეს უკვე სხვადასხვა კომისიების თავმჯდომარეცაა. ამიტომ აუცილებელი ხდება მისი შეცვლა. ამჯერად წამოყენებულ იქნა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის* დავით ივანიშვილის** კანდიდატურა. საკითხის განხილვისას დეპუტატებმა გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა, ნონა ბუზარიაშვილმა და სხვა დეპუტატებმა კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატს დაუსვეს სხვადასხვა სახის კითხვები, რომლებიც წინა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მუშაობის შედეგებს შეეხებოდა. დასმულ კითხვებს უპასუხა კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატმა. დეპუტატებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და ბოლოს დავით ივანიშვილის კანდიდატურას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

საგარეჯოში, სხვადასხვა ქუჩებზე არსებულ კონკრეტულ პიროვნებათა საცხოვრებელი ბინებისათვის ნუმერაციის მინიჭების შესახებ საკითხები დეპუტატებს ***საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ* ელდარ მეფარიძემ** გააცნოთ.

დეპუტატებმა წარმოდგენილ საკითხებზე იმსჯელეს და თითოეულ საკითხზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სხდომას ესწრებოდნენ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე* ცისმარ თედიაშვილი** და ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე* დავით ივანიშვილი**.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

**19 მაისი, 2015წ.**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს ***მუნიციპალიტეტის გამგებელი* გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. გამგებლის წარმომადგენლებმა სოფლებში მიხეილ ობოლაშვილმა (მზისგული), გიორგი ჭიაბერაშვილმა (გიორგიწმინდა), დავით აბელაშვილმა (უჯარმა), თამარ გარსევანიძემ (ნინოწმინდა), გიორგი კერატიშვილმა (წყაროსთავი), ნიკო უნაფქოშვილმა (პატარძეული), მახმუდ ალიევმა (ლამბალო) ზეპირი ინფორმაციები გააკეთეს სოფლებში არსებულ იმ პრობლემურ საკითხებზე, რომელთა მოგვარებას მოსახლეობა უახლოეს ხანში ელოდება.

თათბირზე დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები დასმული საკითხების მოსაგვარებლად.

თათბირს ესწრებოდა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე* გიორგი რევაზიშვილი.**

## ინფრასტრუქტურა-2015

### მანავი

### იწმინდება ხევები

**ბოლო** წლების გაზაფხული-ზაფხულის წვიმებმა უამრავი თავსატეხი გაუჩინა ადამიანს – ადიდებულმა მდინარეებმა შეიძლება ისეთი რაოდენობის ქვა-ღორღი ჩამოიტანოს მთებიდან, ვეღარ დაიტიოს კალაპოტმა და ბევრი მაგალითი გვახსოვს საცხოვრებელი სახლების დატბორვისა თუ სავარგულებამდე მისასვლელი გზების დაზიანების. დღესდღეობით მანავში, „ტურის უბანში“ ე.წ. „ბაძუანთუბნის“ მონაკვეთზე იწმინდება ხევი, რომელიც აპრილ-მაისის წვიმების დროს გაუმტარი გახდა და აქაური მოსახლეობის ვენახებამდე მისასვლელი გზები ერთიანად დააზიანა. საკრებულოს გადაწყვეტილებით გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის წესით დღეს აღნიშნული ხევის გაწმენდა სოფელში რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალიდან რკინიგზამდე, სულ 700 მეტრ მანძილზე ხდება.

### შეკეთდება სასმელი წყლის მილი

**მიმდინარეობს** ე.წ. „ბურდიანის“ დასახლებაში არსებული დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მილის ამოცვლა, რომელიც განმეორებით დაზიანდა ერთ-ერთი დაზიანებული მილის ამოცვლის პროცესში. აღნიშნული მილი 100 მეტრის მანძილზე გახდა ამოსაცვლელი. ამოცვლა მიმდინარეობს საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

## სოფლის მეურნეობა

### საქართველოს მთავრობის სახელმწიფო პროგრამები

# ფინანსური დახმარება – სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად

**მიუხედავად** იმისა, რომ საქართველო უძველესი აგრარული ქვეყანაა, დღეს ის მსოფლიოს მოწინავე აგრარულ ქვეყნებს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება. მიწების არასწორმა პრივატიზაციამ და დანაწევრებამ ისედაც მცირემიწიანი ქვეყნის სახნავ-სათესი ფართობების გამოყენების კოეფიციენტი შეამცირა. გაღარიბდა სოფლის მოსახლეობა, შრომისუნარიანმა კონტიგენტმა დატოვა სოფელი და ქალაქს მიაშურა.

დღევანდელი ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობა აღიარებულია ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად, ამიტომ სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას სხვადასხვა დახმარებებით, სესხებით, აგრობარათებით, ტექნიკით, საწვავით და სხვადასხვა საშუალებებით ცდილობს.

გარდა აღნიშნულისა, ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიერ შემუშავდა სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც სოფლის მეურნეობაში კომპლექსური ღონისძიებების ერთდროულად გატარებას გულისხმობს.

საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 12 თებერვალს მიღებულ იქნა დადგენილება „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

**პროგრამის მიზნები და ამოცანებია:**

1. საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების ეფექტურობის ამაღლება;

2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტჩანაცვლების ხელშეწყობა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა;

3. სანერგე მეურნეობების შექმნისა და მრავალწლიანი ბაღების გაშენების სტიმულირება ფინანსური და ტექნიკური დახმარების საშუალებით.

მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღების გაშენებისა და სანერგე მეურნეობების შექმნის ფინანსური და ტექნიკური დახმარება განხორციელდება განსხვავებული პირობებით. პოტენციურ ბენეფიციარს შეუძლია მიიღოს ფინანსური და ტექნიკური დახმარება პროექტის ორივე კომპონენტში ერთდროულად.

მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღების გაშენების მიზნით საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები (მათ შორის კოოპერატივები) და საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები მიიღებენ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას.

პროექტის ფარგლებში კახეთის რეგიონში დაფინანსდება შემდეგი მრავალწლიანი კულტურები: კურკოვანი კულტურებიდან – ატამი, ქლიავი, ბალი; სუბტროპიკული კულტურებიდან – ხურმა, ბროწეული; კაკლოვანი კულტურებიდან – კაკალი და ნუში.

შეგახსენებთ,რომ ფინანსურ დახმარებას აწარმოებს საქართველოს სოფლის პროგრამების მართვის სააგენტო.

**დაფინანსდება ბაღების გაშენების შემდეგი ხარჯები:**

1. შესასყიდი ნერგების ღირებულების 70%;

2. წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50% (არაუმეტეს 2500 ლარისა 1 ჰა-ზე).

3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები დამატებით მიიღებენ საწამლ აპარატებს საჩუქრად.

**ამასთან**:

1. 1 ჰა-ზე თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 10000 ლარს.

2.გასაშენებელი ბაღის მაქსიმალური ფართობი შეადგენს 20 ჰა-ს;

3. ერთი ბენეფიციარის მაქსიმალური თანადაფინანსების მოცულობაა 100 000 ლარი.

**ბენეფიციარებს,** რომლებიც მიიღებენ აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას და მიიღებენ თანადაფინანსებას, ***ჩაუტარდებათ ტრენინგები შემდეგ საკითხებში:***

1. ნერგების გასხვლის ტექნოლოგიების პრაქტიკული სწავლება.

2. მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სისტემების დანერგვა.

3. მორწყვისა და მცენარეთა კვების უზრუნველყოფის საკითხები.

ბენეფიციარი, რომელიც გადაწყვეტს მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ პროგრამაში ***უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:***

1. ფლობდეს მიწის ნაკვეთს, ან მიღებული ჰქონდეს მიწა გრძელვადიანი იჯარით სახელმწიფოსაგან.

2. მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენდეს არანაკლებ 5 ჰა-ს, გარდა გამონაკლისი მუნიციპალიტეტებისა, სადაც მიწის ნაკვეთი შეიძლება შეადგენდეს 1 ჰა-ს.

3. მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მუდმივი წყლის წყაროთი.

თანადაფინანსების მისაღებად ***ბენეფიციარმა*** საქართველოს სოფლის მეურნეობის სააგენტოში ***უნდა წარადგინოს შემ-***

*დასასრული მე-3 გვერდზე*

## სოფლის მეურნეობა

### საქართველოს მთავრობის სახელმწიფო პროგრამები

# ფინანსური დახმარება – სოფლის მეურნეობის აღორძინებლად

**დასასრული**

***დევი დოკუმენტაცია:***
1. შევსებული განაცხადის ფორმა; 2. სანერგე მეურნეობის შექმნის დეტალური პროექტი; 3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; 4. მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი; 5. ცნობა მიწის ნაკვეთის დამუშავების შესახებ, რომელიც ჩვენი სამსახურის მიერ იქნება გაცემული.

სოფლის მეურნეობის დარგების აღორძინებას ეხება ახალი პროექტიც, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსებას ეხება.

პროექტის მიხედვით, ფინანსურ დახმარებას მიიღებენ კომპანიები (მათ შორის კოოპერატივები, რომლებიც დაინტერესებული არიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი ახალი საწარმოების შექმნით). ფინანსური დახმარება ითვალისწინებს შეღავათიან გრძელვადიან საბანკო კრედიტს, ან ლიზინგს და თანმხვედრ გრანტს. პროექტში მონაწილეობის მისაღებად პოტენციური ბენეფიციარი მიმართავს „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ ბიზნეს-წინადადებით, რომელსაც სააგენტო გადაარჩევს შესაბამისობის კრიტერიუმებისა და პროექტის მიზნების გათვალისწინებით. შესაბამისობის ***კრიტერიუმები უნდა იყოს შემდეგი:***

1. პროექტის მთლიანი ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 200 000 აშშ დოლარს;
2. ბენეფიციარი უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი (მათ შორის კოოპერატივები)
3. ბენეფიციარის ფულადი თანამონაწილეობა უნდა შეადგენდეს პროექტის მთლიანი ღირებულების მინიმუმ 10%-ს.

***შეღავათიანი კრედიტის ან ლიზინგის შეღავათიანი პირობები:*** ძირითადი საშუალებების დაფინანსებისათვის გაცემული სესხის შემთხვევაში: საპროცენტო განაკვეთზე არანაკლებ 12 თვისა, ძირზე არანაკლებ 24 თვისა, საბრუნავი საშუალებებისათვის გაცემული სესხის შემთხვევაში: საპროცენტო განაკვეთზე არანაკლებ 12 თვისა, ძირზე არანაკლებ 18 თვისა. ფინანსური დახმარების პირობები შემდეგია: გრანტის მოცულობა შეადგენს პროექტის მთლიანი ღირებულების 40%-ს, მაქსიმუმ 500 000 ლარს. აღნიშნული თანხა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად, შენობა-ნაგებობების შესაძენად (მხოლოდ სახელმწიფოსგან), სარემონტო სამუშაოებისათვის, საწარმოო ფართის მშენებლობაზე. სესხი/ლიზინგი მოიცავს პროექტის ღირებულების მაქსიმუმ 50%-ს, მაქსიმუმ 500 000 აშშ დოლარს, ხოლო სააგენტოს მიერ წლიური საპროცენტო ხარჯის თანადაფინანსება შეადგენს 12%-ს.

სოფლის მეურნეობა

პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია ასევე, ***პრიორიტეტული გადამამუშავებელი დარგები:***

რძის, ხილის, თევზის, ბოსტნეულის, თაფლის, მატყლის, ციტრუსის, ხორცის გადამუშავება, მათ შორის შებოლილი ხორცის წარმოება, თხილის, ჩაის, ტყავის, თამბაქოს გადამუშავება, კომბინირებული საკვების წარმოება, მარცვლეული კულტურების, დაფნისა და სხვა ეთერზეთოვანი მცენარეების გადამუშავება.

აღნიშნული პროექტების უკეთ გასაცნობად ფერმერებს შეუძლიათ მოგვმართონ ჩვენს სამსახურს შემდეგ მისამართზე: ქ. საგარეჯო, დავით აღმაშენებლის №15-ში.

*ნიკო ჯავახიშვილი,*

***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, აგროინჟინერიის დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი.***

---

### რჩევა მევენახეებს

# ჭრაქი საშიში დაავადებაა

**ჭრაქის**, ანუ მილოდიუსის გამომწვევია სოკო. ის აზიანებს ვაზის ყველა ვეგეტატიურ და რეპროდუქციულ ორგანოს ფესვის გამოკლებით. მისი ყველაზე მკვეთრი ნიშნები ფოთლებზე და მტევანზე ვლინდება. ჭრაქი ძალიან სახიფათოა, როდესაც იგი ვაზის ყვავილობის დროს ყვავილედზე ჩნდება. ყვავილედი ნაზი ქსოვილისაგან შედგება და ადვილად ავადდება. დაავადებისას ჯერ მთლიანად იფარება თეთრი ფიფქით, შემდეგ კი ყვავილები ხმება და სცვივა. ვაზისათვის ყველაზე კრიტიკული პერიოდია თანაყვავილედის სრული განვითარებიდან ისვრიმობამდე. ჭრაქის განვითარებისათვის ხელსაყრელი ტემპერატურული ინტერვალი მერყეობს +11-33$^0$C, ხოლო ოპტიმალურია +22-25$^0$C და ტენიანობა 80-100%. ოპტიმალურ პირობებში საინკუბაციო პერიოდი – დრო ინფიცირებიდან სოკოს ნაყოფიანობის მოცემამდე 4 დღეა.

ხშირი წვიმებისა და ოპტიმალური ტემპერატურის პირობებში ჭრაქს შეუძლია ვაზის ვეგეტაციის განმავლობაში სულ ცოტა, 15 თაობა მოგვცეს და მთლიანად გაანადგუროს მოსავალი. ამიტომ, საჭიროა ბრძოლა ვაზის ჭრაქის წინააღმდეგ. დაცული უნდა იყოს ყველა პირობა: რიგთაშორისი მანძილი, ვაზის დროული გაფურჩქვნა, მავთულზე მიბმა, ნიადაგის აგროვადებში დამუშავება და სხვა. ქიმიური ღონისძიებებიდან კი გასათვალისწინებელია :

წამლობა უნდა ჩატარდეს მაშინ, როცა ვაზის ყლორტის სიგრძე 15 სმ-ს მიაღწევს, დამუშავდეს ბორდოს ნარევით – იტალიური ფუნგიციდის (შაბიამანი ქარხნულად განეიტრალებული კირით) 1%-იანი სამუშაო ხსნარით (700 ლიტრ წყალზე 7 კგ პრეპარატი).

II წამლობა – მე-8 დღეს კონტაქტური ფუნგიციდი;
III წამლობა – მე-8 დღეს სისტემური ფუნგიციდი;
IV წამლობა – მე-12 დღეს სისტემური ფუნგიციდი;
V წამლობა – მე-12 დღეს სისტემური ფუნგიციდი;
VI წამლობა – მე-12 დღეს მეზოსისისტემური პრეპარატი;
VII წამლობა – მე-7 დღეს 1%-იანი ბორდოს ნარევი 7კგ-ჰა-ზე.

ხელსაყრელ გარემო პირობებში შესაძლოა ჩამოთვლილი წამლობა საკმარისი აღმოჩნდეს, მაგრამ უმჯობესია რჩევისათვის მიმართოთ პროფესიონალებს, რათა იყოთ დაზღვეულები და მიიღოთ მაღალხარისხიანი მოსავალი.

*აკაკი დეკანოზიშვილი,*

***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი.***

---

### სახელმწიფო პროგრამა

# სასოფლო-სამეურნეო და აგრო-ბარათების დარიგება გრძელდება

**მიმდინარე** წლისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროექტით მოსარგებლე 13064 ბენეფიციარია აღრიცხული. მათგან უმეტესობა ისეთი მოსარგებლეა, რომელთაც სახნავი ფართობები გააჩნიათ და აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო (ხვნის) ბარათები ესაჭიროებათ. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებით, 19 მაისის მდგომარეობით მოსახლეობაზე სულ დარიგებული იყო 8132 ამ სახის ბარათი, საიდანაც უკან დააბრუნეს 1720 ბარათი. იმავე 19 მაისისათვის მოსახლეობაზე დასარიგებელი კიდევ იყო 887 ბარათი, მათ შორის ყველაზე მეტი – 400 ბარათი საგარეჯოს ბენეფიციარებისთვის. მთლიანობაში სასოფლო-სამეურნეო ბარათების გამოყენებით 21 მაისის მდგომარეობით შპს „მექანიზატორის“ ადგილობრივ განყოფილებებს მოხნული ჰქონდათ 1918 ჰა მიწის ფართობი.

რაც შეეხება აგრო-ბარათების მიმღებ ბენეფიციარებს, ისინი ბარათებს „ლიბერთი ბანკის“ ადგილობრივ ფილიალში მიიღებენ. სულ წელს მუნიციპალიტეტში აღნიშნული ბარათები 4927 ბენეფიციარზე დარიგდა.

*გ. დაბახიშვილი*

---

# ილია კურდღელაშვილი – ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარე



**საქართველოს** სხვა რეგიონების მსგავსად ჩვენს მუნიციპალიტეტში ახლადშექმნილ ახალგაზრდულ საკრებულოში მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 36 წარჩინებული მოსწავლეა შერჩეული. ამ დღეებში ახლადშექმნილ საკრებულოში ჩატარდა მისი თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევნები. სულ არჩევნებში ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარედ დასახელდა ცხრა კანდიდატი, რომლებმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინეს საკუთარი პროგრამები მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ. პროგრამის პრეზენტაციის შემდგომ ჩატარებული არჩევნების შედეგად ცხრა კანდიდატურიდან ხმათა თანაბარი უმრავლესობა ორმა კანდიდატმა – საგარეჯოს I საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე ილია კურდღელაშვილმა და ბადიაურის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე ანანო ათაბეგაშვილმა დააგროვეს. ამის გამო ჩატარდა არჩევნების II ტური, რომელშიც გამარჯვება ილია კურდღელაშვილმა მოიპოვა.

წესდების შესაბამისად ახლადარჩეულმა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულოს პირველმა თავმჯდომარემ თავის მოადგილედ დაასახელა ანანო ათაბეგაშვილის კანდიდატურა, რომელიც ამ პოსტზე ერთხმად აირჩიეს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარის და მისი მოადგილის არჩევნებს ესწრებოდნენ ამ პროექტის კოორდინატორი ნიკოლოზ მაღალდაძე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე შალვა კრიხელი, საკრებულოს აპარატის უფროსი ილია სიფროშვილი, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მეზვრიშვილი და საკრებულოს სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

*გ. დაბახიშვილი*

---

**ამ დღეებში** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში გაიმართა სოფ. იორმუღანლოს საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და მათ ხელმძღვანელთა შეხვედრა მუნიციპალიტეტის გამგებელთან ბატონ გიორგი გზირიშვილთან, გამგებლის მოადგილეებთან და სამსახურის უფროსებთან, პროექტის „კახეთის მხარის მოსწავლეები - კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“-ის ფარგლებში. მოსწავლეებს თან ახლდნენ პროექტის ხელმძღვანელი დალი ოსეფაშვილი, სკოლის დირექტორი კაზახ აბდულაევი და ისტორიის პედაგოგი გიორგი ვარდიაშვილი. პროექტის მონაწილეები გაეცნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის მუშაობის სტრუქტურას და მიიღეს ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა მიმდინარე წელს გეგმავს სხვადასხვა პროექტების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებისა და სკოლის მოსწავლეების საგანმანათლებლო და კულტურულ განვითარებას.

ბატონმა გიორგი გზირიშვილმა მოსწავლეებს გადასცა სიმბოლური საჩუქრები. შეხვედრა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში, ბავშვებმა გამგებელს გაუზიარეს თავიანთი სურვილები და წინადადებები, რაზეც მან გამოთქვა მხარდაჭერა და თანადგომა.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეები ეწვივნენ კულტურის სახლს. კულტურის სახლის მენეჯერმა ქალბატონმა თინათინ მეზვრიშვილმა ბავშვებს დაათვალიერებინა სასახლე, ესაუბრა მათ მისი დაარსების, თეატრალური დასის და დადგმული სპექტაკლების შესახებ, მოსწავლეებმა დაათვალიერეს ბიბლიოთეკა, თოჯინების თეატრი. შემდეგ ესტუმრნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, სადაც სახლის დირექტორმა ქალბატონმა თამარ ჯაბადარმა დაათვალიერებინა მათ მოსწავლე-ახლგაზრდობის სახლი, გამოფენა და გამოთქვა დიდი სურვილი და მზაობა, რომ იორ-მუღანლოს საჯარო სკოლის მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ სახლის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

შემდეგ მოსწავლეები ეწვივნენ საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. საგარეჯოში სტუმრობა მათ დაასრულეს მანავის ციხეზე ასვლით. ისტორიის მასწავლებელმა გიორგი ვარდიაშვილმა მათ უამბოთ ციხის აგების და დანიშნულების ისტორია.

### სასკოლო ცხოვრება

# სტუმრად მუნიციპალიტეტის გამგეობაში



## 28 მაისს „გარეჯობაა"

# „თვალუწვდენელი ცისქვეშა მუზეუმი“

**კლდეში** ნაკვეთი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი გარეჯის ზეგანზე 50-60კილომეტრ მანძილზეა გადაჭიმული. კომპლექსის სამშენებლო ხელოვნება და ფერწერის მაღალმხატვრული დონე დღესაც მეცნიერთა და ხელოვანთა დიდ ინტერესს იწვევს.

VI საუკუნის ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ, რომ აქ “ათცამეტ მამათაგან” ერთ-ერთს – დავიტს საფუძველი ჩაუყრია პირველი მონასტრის დაარსებისთვის. იგი თავდაპირველად გამოქვაბულში დავანებულა და აქედან იწყება დავითის ლავრის სამონასტრო ისტორიაც. შემდეგ კი მის მოწაფეებს – დოდოს – დოდოს რქად წოდებული მონასტერყ, ხოლო ლუკიანეს – იოანე ნათლისმცემლის მონასტერყ დაუარსებია. აქ თანდათანობით ჩნდება და იკვეთება ახალი სენაკები, იჭრება წყალშემკრები არხები. ახალ-ახალი მონასტრების დაარსებას თან ახლავს გადამთიელთა და უცხოტომელთა ამაოხრებელი და დამანგრეველი შემოსევები, მაგრამ ღვთის შეწევნითა და აქაური ბერების რუდუნებით ისევ ახლიდან ხდება აღდგენა-განახლება. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საქართველოს ყოველი ძნელბედობის ჭრილობა სწორედ აქაურ მონასტრებზე ისახებოდა – მტერი ყველაზე დიდ მტრად, სწორედაც რომ ქრისიტიანულ სარწმუნეობას, ეკლესია-მონასტრებს ისახავდა და ჩეხდა, კაფავდა, ანგრევდა, ცეცხლსუკიდებდა და აგურ-აგურ შლიდა ყველაფერს, რასაც ქრისტიანობის მადლი და კვალი ჰქონდა. ერთი ეგ იყო, კლდეში ნაკვეთ გამოქვაბულებს რომ ვერაფერს აკლებდნენ, ჯავრსა და ბოღმას ბერებზე იყრიდნენ – აწამედნენ, თავს კვეთდნენ, მონებად მიჰყავდათ ურჯულოებს.

IX საუკუნეში ილარიონ ქართველმა პირველმა გააფართოვა და გადააკეთა დავითის მიერ დაარსებული ეკლესია. დავითის ლავრის გამშვენებაში დიდი წვლილი შეიტანა დავით აღმაშენებლის ძემ – დემეტრემ, რომელმაც საგალობელი “ შენ ხარ ვენახი” სწორედ აქ შექმნა.

XII-XIII საუკუნეებში დავით გარეჯის მონასტერს ჩიჩხიტური და ბერთუბანი შეემატა. გაფართოვდა და კეთილმოეწყო დავითის ლავრა, შეიქმნა კედლის მხატვრობა, რომელიც შემდეგ საფუძველი გახდა გარეჯული სამხატვრო სკოლისა, რომელმაც შემოგვინახა ისტორიული პირების პორტრეტები – იოანე ნათლისმცემელში - დავით აღმაშენებლისა, ბერთუბანში – თამარ მეფის და ლაშა-გიორგისა, დემეტრე თავდადებულისა – უდაბნოში...


ლავრაში შესასვლელი კარი

1616 წელს შაჰ-აბასის ურდოების შემოსევამ კიდევ უფრო გაამძაფრა ის სავალალო შედეგები, რაც სხვადასხვა დროს მონღოლების, ჯალალედინისა და თემურ ლენგის შემოსევებმა მოუტანა დავით გარეჯის მონასტრებს. აღდგომა ღამეს ლიტანიობის შემდეგ ერთად მოსრული 6000 ბერი საქართველოს წმინდანთა დასს არის შეერთებული.

მაგრამ ვერაფერმა გაანელა აქ სამონასტრო ცხოვრების ჟინი და სურვილი. XVII საუკუნის დამლევს აქ შეიქმნა ლიტერატურული სკოლა, სადაც განათლებას იღებდნენ არამარტო მაღალი წრის პირები, არამედ ეპისკოპოსებიც. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში აქ მოღვაწეობდა დიდი მამულიშვილი სულხან-საბა ორბელიანი, რომელმაც თავის შემოქმედებით ნიჭს აქ ფართო ასპარეზი მისცა. აქ თავიანთი ფეხით მოსულან დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დემეტრე პირველი, ლაშა-გიორგი, გიორგი ბრწყინვალე, დიმიტრი თავდადებული. აქ ყოფილან ქართველი თავადური ჩამომავლობის პირები, რომელთაც თავიანთი კვალი დაუტოვებიათ სამონასტრო კომპლექსის გაშენება-განვითარებაში.

კომპლექსი, რომელიც 5000-ზე მეტ გამოქვაბულს ითვლის მნახველებს ანცვიფრებს თავისი სილამაზით და იმ ქმნილებით, რასაც ადამიანის მარჯვენა 15 საუკუნის მანძილზე ქმნიდა – კლდეში ნაკვეთი საკულტო და სამეურნეო დანიშნულების სენაკები, ვრცელი კამაროვანი დარბაზები, ლაბირინთები, ტალანები, მცირე სენაკები, სათვალთვალო კოშკები, გვირაბები და უსასრულოდ გრძელი ქვათლილი კიბეები.

მისი ისტორია კი უფრო შორს მიდის – 1980 წელს აქ მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ცენტრის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. ახალმა აღმოჩენებმა , რომელიც მხოლოდ მწირ ინფორმაციას იცნობდა – უდაბნო – პითეკის – უდაბნოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გადაშენების გზაზე მდგარი პრიმატის ძვლების აღმოჩენით, ახლა აღმოჩნდა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შექმნამდე ადამიანთა საქმიანობის, მათ მიერ შექმნილი კულტურის შესახებ არაფერი იცოდა მეცნიერებამ. მაგრამ უკანასკნელ ხანს აქ, გარეჯის უდაბნოში მაღალგანვითარებული ცივილიზაცია აღმოჩნდა - დადგინდა ქვის ხანის ადამიანის არსებობა. აღმოჩნდა სამაროვნები, რომლებიც შუაბრინჯაოს ე.წ. თრიალეთურ კულტურას მიეკუთვნება.

აქვეა ძველი ბრინჯაოს ხანის სამარხები. ეს არის II ათასწლეულის მეორე ნახევრის წინანდელი კოლოსალური ზომის ნამოსახლარების აღმოჩენა, რაც უძველეს დროში უდაბნოს ტერიტორიის დასახლებაზე მიგვანიშნებს. უდაბნოს ტერიტორიაზე ანტიკური ხანის კვალიც შეიმჩნევა. “გარეჯის უდაბნო ანტიკური ხანის კარგად შემონახული არქეოლოგიური ძეგლების თვალუწვდენელი ცისქვეშა მუზეუმია”, - ამბობს პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი კიაზო (კონსტანტინე) ფიცხელაური. სწორედ ამ ხნის შემდეგ გაუგებარი მიზეზების გამო უდაბნოში ადამიანთა ცხოვრება წყდება, ვიდრე VI საუკუნემდე – სამონასტრო კომპლექსების დაარსებამდე, რომელიც გაგრძელდა გასული საუკუნის 20-იან წლებამდე.



დავით გარეჯა

ოციან წლებში სამონასტრო ცხოვრება აქ ჩაქრა, 60-იან წლებში კი უდაბნოს მეცხვარეობის ტერიტორია გაუკაცრიელდა. ამიტომ აქ “მშვიდობისმოყვარე” საბჭოთა იმპერიის ხელმძღვანელებმა ყარაიას ველზე სამხედრო პოლიგონი გადმოიტანეს. ყარაიას ველს ჩრდილო მხრიდან სამონასტრო კომპლექსები ესაზღვრება და ამდენად, თანამედროვე სამხედრო ტექნიკის საუკეთესო სამიზნეს წარმოადგენდა. დღედაღამ ისმოდა ზარბაზნების გრიალი, რომელთა ხმა საგარეჯომდეც აღწევდა.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან საგარეჯოს მაშინდელმა პარტიის რაიკომის მდივანმა მედეა მეზვრიშვილმა კატეგორიულად მოითხოვა სამხედრო პოლიგონის გატანა ამ ადგილიდან. სწორედ ამიტომ ჩაუყარა საფუძველი სახალხო დღესასწაულს “ გარეჯობას”, სადაც გარდა საქართველოს და ცენტრალური კომიტეტის წევრებისა, აქ საბჭოთა კავშირის ცკ-ს წევრებიც იყვნენ მოწვეულნი.


იოანე ნათლისმცემელი

პირველი “გარეჯობა” 1975 წლის 16 მაისს გაიმართა. აქ იყვნენ საგარეჯოს რაიონის მშრომელები, სპორტსმენები, კულტურის მუშაკები, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები. ამ დღეს დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი, რომლის რექტორად აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი აირჩიეს, მდივნად პოეტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი.

სახალხო დღესასწაული “გარეჯობა” ყოველწლიურად იმართებოდა – დავითის ლავრასთან, ჩიჩხიტურთან, ნათლისმცემელთან. დიდი ინტერესით მოდიოდა აქ ხალხი, 1980 წლის 18 მაისს ჩატარებულ სახალხო ზეიმს უკვე 100ათასი კაცი დაესწრო. გარეჯობას ყოველთვის ჰყავდა თავისი საპატიო სტუმრები, პროფესორები, აკადემიკოსები, 1978 წლის გარეჯობას საბჭოთა კავშირის მარშალი არჩილ გელოვანიც დაესწრო.

1988 წელს გამართული “გარეჯობის” შემდეგ აღარ ჩატარებულა აქ სახალხო დღესასწაული. მხოლოდ 1997 წლის 17 მაისს მოხერხდა აქ ღონისძიების ჩატარება. “ჩიჩხიტურის” კოშკთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ წარმოდგენილი იყო სპორტული, კულტურული ღონისძიებები დევიზით – “ რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია”.


1988 წლის „გარეჯობაზე“

# დავითის ლავრა

გარეჯის უდაბნო, ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრი, სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი მდებარეობს თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 60-70 კილომეტრზე, საგარეჯოდან კი სამხრეთ-დასავლეთით 50 კილომეტრზე, ისტორიულ კუხეთში, მდინარეების იორისა და მტკვრის შორის მოქცეულ გარეჯის კლდოვან მთებში. მონასტერი დაარსებულია VI საუკუნის I ნახევარში ერთ-ერთი ასურელი მამის – დავითის მიერ.

გარეჯის უდაბნო ძველთაგანვე წარმოადგენდა ქართლის სახელმწიფოს კუთვნილ განაპირა პროვინცია კუხეთის შემადგენელ ნაწილს. კუხეთი IX საუკუნიდან შეერწყა კახეთს და ამის შემდეგ ეს მხარე კახეთად იწოდება.

როგორც აგიოგრაფიული წყაროები იუწყებიან, მამა დავითი თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად მოვიდა გარეჯის უდაბნოში და დასახლდა ერთ პატარა ბუნებრივ მღვიმეში. ასე ჩაეყარა საფუძველი მონასტერს, რომელიც შემდგომ საუკუნეებში ცნობილი გახდა დავითის ლავრის სახელით.

გარეჯის ლავრა გარეჯის სამონასტრო ცხოვრების ცენტრი იყო. დროთა განმავლობაში მას განშტოებები შეემატა. გარკვეულ პერიოდში მონასტერთა რიცხვმა თორმეტს მიაღწია. ამ ხნიდან უნდა იყოს შემორჩენილი სახელწოდება „გარეჯის ათთორმეტნი მონასტერნი“. შემდგომში თანდათან ჩამოყალიბდა შორი-შორს მდებარე გამოქვაბულ-მონასტერთა კომპლექსის ქსელი – წამებული, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრი სენაკი, დოდოს რქა, უდაბნო, აღდგომისა, წამებული, ბერთუბანი, მღვიმე, ქოლაგირი, დიდი ქვაბები, ვერანგარეჯა, პირუკუღმართი, პატარა ქვაბები.

დავით გარეჯის მონასტერთა საქმიანობა თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ქართველი ხალხის, როგორც რელიგიურ, ისე საერთოდ კულტურულ ცხოვრებაში. XII საუკუნის დასაწყისში დავით IV აღმაშენებელმა დავით გარეჯის მონასტრები სახელმწიფო საკუთრებად აქცია და ყველანაირად შეუწყო ხელი მათ დაწინაურება-აღორძინებას. მონასტრები გათავისუფლებული იყო სახელმწიფო გადასახადებისაგან. 1265 წელს მონღოლთა ლაშქარმა ბერქა ყაენის სარდლობით დაარბია და მოაოხრა დავით გარეჯა და მისი მიდამოები. XIV საუკუნის I ნახევარში, გიორგი V ბრწყინვალეს მეფობაში დავით გარეჯა მძლავრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალად იქცა. მონასტერთა მესაკუთრენი მონაწილეობდნენ სამეფო დარბაზის მუშაობაში და ქვეყნის საეკლესიო საქმეთა მართვაში. XIV საუკუნის ბოლოს, თემურ ლენგის მრავალგზის ლაშქრობების დროს, სამონასტრო ცხოვრება მოიშალა. 1424 წელს საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდმა დავით გარეჯა მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ეკლესიას შესწირა. 1616-1617 წლებში სპარსელთა ლაშქარმა მონასტერი დაარბია. 1616 წელს აღდგომა დღეს სადღესასწაულო ლიტანიობის დროს ყიზილბაშებმა აღდგომის ეკლესიის მიდამოებში გაჟლიტეს აქ სალოცავად მოსული ბერები და უბრალო მლოცველები. 1639 წელს კახეთის მეფე თეიმურაზ I აღადგინა აქ სამონასტრო ცხოვრება. XVIII საუკუნეში დავით გარეჯა კვლავ სამეფო საკუთრებად იქცა და ამ სამონასტრო კომპლექსებს ეკუთვნოდათ ვრცელი მამულები და სოფლები. იქ მოსახლე გლეხები სამონასტრო ყმებადაც ითვლებოდნენ. დავით




გარეჯის მონასტრებმა XIX საუკუნის ბოლომდე იარსება.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსების მშენებლობამ თავის მწვერვალს მიაღწია საქართველოს საერთო ეროვნული და კულტურულ-პოლიტიკური აღმავლობის დროს – XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე. დავით გარეჯში გამომუშავდა სამონასტრო ცხოვრებისა და მშენებლობის საკუთარი წესი, ფრესკული მხატვრობის საკუთარი სკოლა.

ამ პერიოდის დავით გარეჯის მონასტრების სტილი მკვეთრად განსხვავდება ადრინდელი პერიოდის მონასტრებისაგან. მთავარ ეკლესიებსა და სატრაპეზოებში ადრინდელი უბრალოებისა და უშუალობის ნაცვლად თავი იჩინა დიდებულებამ, გრანდიოზულობამ, ინტერესებმა ფართო, თავისუფალი სივრცეებისადმი. შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებდა მთავარი ეკლესიებისა და საერთო სატრაპეზოების კედლების მოხატულობა. დავით გარეჯის მხატვრობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქტიტორთა მრავალრიცხოვანი გამოსახულებები, მათ შორის საქართველოს მეფეთა პორტრეტები (თამარ მეფე და მისი ძე გიორგი ლაშა – ბერთუბნის მონასტერში, მეფე დიმიტრი II თავდადებული – უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიის მოხატულობა). ქტიტორთა პორტრეტები ზომით ბევრად ჭარბობს რელიგიური პერსონაჟების გამოსახულებებს, რაც მოწმობს ქართველი ოსტატების დამოუკიდებლობას ბიზანტიური ხელოვნების მიერ დაკანონებული სქემებისაგან. აღსანიშნავია ბერთუბნის სატრაპეზოს მოხატულობა, რომელიც საზეიმო და დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. უდაბნოს მთავარ ეკლესიაში გამოხატულია სცენები დავით გარეჯელის ცხოვრებიდან.

დავით გარეჯა კულტურისა და განათლების მძლავრი კერა იყო. სხვადასხვა დროს დავით გარეჯის მონასტრებში მოღვაწეობდნენ ონოფრე გარეჯელი (XIIს), დემეტრე I (XIIს), ონოფრე მაჭუტაძე (XVII-XVIIIსაუკუნეთა მიჯნაზე), სულხან-საბა ორბელიანი, ბესარიონ ბარათაშვილი-ორბელიშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (XVIIIს), გაბრიელ საგინაშვილი, გრიგოლ დოდოსრქელი, ანტონ I, ტიმოთე გაბაშვილი (XVIIIს), გაბრიელ მცირე (XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნა და სხვები). გარეჯელი მოღვაწეები ეწეოდნენ შემოქმედებით მუშაობას, ამრავლებდნენ ხელნაწერებს, ადგენდნენ კრებულებს, დახმარებას უწევდნენ კულტურის სხვა კერებს, დავით გარეჯში დაცული იყო ხელნაწერთა უმდიდრესი ფონდი.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსები – ეს მსოფლიო მნიშვნელობის არქიტექტურული ანსამბლი ტურისტთა და მეცნიერთა დიდ ყურადღებას იწვევს. გარეჯის კომპლექსების დათვალიერება შეუძლებელია ერთ დღეში, თუნდაც ერთ კვირაში, ვინაიდან ეს კომპლექსები 25 კილომეტრის რადიუსზე არის გაბნეული. ამიტომ ტურისტებისათვის მისაწვდომი რომ იყოს მისი დათვალიერება, ვურჩევ ამ გრანდიოზული კომპლექსების დათვალიერება დაიწყონ დავითის ლავრით, რომელიც არის ამ კომპლექსების ფუძემდებელი.

თბილისიდან, თუნდაც საგარეჯოდან მიმავალი ტურისტი გამოივლის რა დაუსახლებელ მინდვრებს, პირველად შეხედავს მთის თავზე მაღალ საყარაულო კოშკს, რომელიც აშენებულია ფრიალო კლდეზე. ეს ჩიჩხიტურის კოშკია, რომელიც დიდებულად გადაჰყურებს ხეობას. ამის შემდეგ, გაივლის რა ორიოდ კილომეტრს, ტურისტი მიადგება კლდოვანი მთის თავზე სათვალთვალო კოშკს, რომლის ქვეშაც მოთავსებულია მონასტერში შესასვლელი კარიბჭე. ამ შესავალი კარის თავზე მნახველის ყურადღებას მიიქცევს ხუცური წარწერა ქარაგმებით: „განმიხვენით მე ბჭენი სიმართლისა, შევიდე მას შინა და აუარო უფალსა, ესე არს ბჭე უფლისა და მართალნი შევლენ მას შინა ქორონიკონს ტპტ“ (უდრის 383წ (1695 წ).აქვე არის სიმბოლოებით შემკული ორნამენტები.

აღნიშნული კლდის კარის გავლის შემდეგ ტურისტი მარჯვნივ პატარა კიბის ავლის შემდეგ შევა კოშკებიან-გალავნიან ეზოში, რომელსაც ხელმარჯვნივ დახვდება კლდეში გამოკვეთილი პალატები. ესაა სატრაპეზოები, სადაც მონასტრის წინამძღვრები და ბერები იკრიბებოდნენ პურის საჭმელად, ან სამონასტრო საქმეების გასარჩევად, აქვე იკრიბებოდნენ სხვადასხვა საზოგადო საქმეების გასარიგებლად და სასწავლებლადაც.

ზემო ნაწილის უბანი ორივე კოშკიდან შემოზღუდულია მაღალი კედლებით, რომელსაც აქვს ორი კარი, რომელიც გაგიყვანთ მეორე მცირე გალავანში და აქედან ჩაგიყვანთ დაბლა, მონასტრის პანთეონში (ძვალშესალაგში), სადაც დაკრძალული არიან მონასტრის ძმანი (ბერები), მეფეები, თავადები ანდრონიკაშვილებისა და ვაჩნაძეების საგვარეულოდან. პანთეონის მარცხნივ მდებარეობს ფერისცვალების ეკლესია, სადაც განისვენებენ დავით გარეჯელის, ლუკიანესა და წმინდა დოდოს ნეშტები.ამ ეკლესიაში ინახებოდა ადრე ვერცხლის ყუთში დასვენებული ის წმინდა მადლის ქვა, რომელიც VI საუკუნეში ამ მონასტრის დამაარსებელმა დავით გარეჯელმა იერუსალიმიდან ჩამოიტანა.

ფერისცვალების ეკლესიის მაღლა ციცაბო კლდეზე წინა საუკუნეებში აშენდა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები, რომელიც 4 სართულია. სულ ზემოთ დგას წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. ამ ეკლესიის კარის ზემოთ სამრეკლოა მოთავსებული.

ტურისტებისათვის საინტერესო სანახავია დავითის ლავრის შიგნით გაწოლილი დიდი შიშველი კლდოვანი ფერდა, რომელიც დასერილია პატარ-პატარა ღარებით, სადაც წვიმის დროს წყალი მიედინება და დაბლა ამოკვეთილ წყლის დიდ კლდის რეზერვუარებში გროვდება. ამ წყალს ბერები იყენებდნენ როგორც სასმელად, ისე საჭმლის მოსამზადებლად.

ამ ფრიალო კლდის მარცხენა მხარეს კლდეში გამოკვეთილი კიბეებით ავდივართ ასევე კლდეში გამოკვეთილ სენაკში, რომელშიც კლდის კედლებიდან ჟონავს და წვეთავს კლდის ნაჟური წყალი.აქ საათში დაახლოებით ერთი ლიტრი წყალი გროვდება, რომელიც საუკეთესო გემოვნებისაა. ამ წყაროს „დავითის ცრემლებს“ უწოდებენ, მლოცველები კი მადლის წყალს ეძახიან.

ამ წყაროს მარცხნივ, ანუ სამხრეთით ციცაბო კლდე გასდევს, რომელშიც გამოკვეთილია 6 სენაკი და ორი ეკლესია. ერთი მათგანი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა. მის ზემოთ არის კიდევ ერთი ეკლესია წმინდა ქალწულ მარინეს სახელობისა. აქვე ყოფილა კლდეში გამოკვეთილი სამჭედლო.

ამავე მთაზე გამოკვეთილია სენაკი, რომელშიც გადმოცემით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი სასულიერო მოღვაწე ილარიონ ქართველი. სენაკი გამოკვეთილი ყოფილა IX საუკუნეში.

მარტო დავითის ლავრაში სამივე კლდოვან მხარეს აღრიცხულია 95 სენაკი, აქვეა 12 ქვიტკირის ნაგებობა, 5 ეკლესია და სამი სატრაპეზო.

დავითის ლავრას აქვს თავისი სასაფლაო – გამოჩენილ საერო და სასულიერო პირთა ძვალშესალაგი-პანთეონი. ამ მონასტრის პანთეონში დაკრძალული ყოფილან საქართველოს მეფე დემეტრე I (1125-1156წწ), ალექსანდრე დიდი (1412-1442წწ), კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605წწ), მეფე გიორგი XII-ის მეუღლე ქეთევანი და სხვა გამოჩენილი ადამიანები.

დავითის ლავრა XIX საუკუნის დასაწყისამდე წარმოადგენდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში ყოველმხრივ მდიდარ სამონასტრო სავანეს, მაგრამ შემდეგ მისი როლი თანდათან დაეცა, ხოლო 1921 წელს, წითელი არმიის შემოსევის დროს იავარქმნილ და განადგურებულ იქნა. ლავრის უკანასკნელმა წინამძღვარმა გერმოგენ აბაშიძემ მონასტრის ძვირფასი არქივი და წმინდა ნივთები საგარეჯოში ჩამოიტანა და იქ, დოდოს ზვარში არსებულ მარანში შეინახა.. აღნიშნული არქივი 1937 წელს დაწვეს საგარეჯოს რაიონული ჩეკას წარმომადგენლებმა როგორც „ტროცკისტული ლიტერატურა“, ხოლო გერმოგენ აბაშიძე დაიჭირეს და დახვრიტეს.

დავითის ლავრა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან კვლავ ფუნქციონირებს, როგორც საქართველოს საპატრიარქოს მოქმედი მონასტერი.

## მადლის ქვა

დავით გარეჯელმა იერუსალიმიდან ჩამოტანილი ქვა თავის მიერ დაარსებულ გარეჯის მონასტერში დააბრძანა. საუკუნეების განმავლობაში ქვა მადლის ქვად მოიხსენიებოდა, მაგრამ ხელმიუწვდომელი იყო ურჯულოთათვის, რომელთაც ბევრი რამ სმენოდათ ქვის სასწაულმოქმედების შესახებ.

1811წელს ცნობილი გახდა მადლის ქვის გაუჩინარებიდან ახალი ამბავი-ქვათახევის მონასტრის ხელნაწერების აღმოჩენის შემდეგ, სადაც წერია, რომ როცა დავით გარეჯის წინამძღვარს მთავარი ეკლესიის გაფართოება მოუნდომებია, ერთ–ერთი სვეტი მოუხსნიათ და პატარა ნიში აღმოუჩენია, ნიშზე ყოფილა ფრესკა, რომელზეც აღბეჭდილი იყო იერუსალიმიდან დაბრუნებული მამა დავითისა და მისი მოწაფის, დოდო გარეჯელის შეხვედრის სცენა. ნიშის ქვეშ სხვა ნიშანი იპოვეს. იქ ინახებოდა იერუსალიმიდან ჩამოტანილი ქვა–მადლის ქვა–ბატის კვერცხზე ოდნავ მომცრო, მოწითალო–მოშინდისფროა და ალაგ–ალაგ სისხლის კვალი ატყვია. 1857 წელს მონასტერს ლეკები დასხმიან თავს, ზოგი ამოხოცეს, ზოგი ტყვედ წაიყვანეს. ხელს გააყოლეს ლუსკუმაში ჩაბრძანებული მადლის ქვაც. მათ ქვის მნიშვნელობა არ იცოდნენ და ერთ–ერთ ლეკს სახლის სხვენში შეუნახავს. ეს დაუმახსოვრებია ტყვედჩავარდნილ ბერს და როცა ტყვეობიდან განთავისუფლდა, მოიპარა ის ქვა და დავით გარეჯაში დაბრუნდა.



მადლის ქვა ახლა საპატრიარქოშია.

# ამაგდარი ადამიანი საუკუნის მიჯნასთან



**სოფელ** გიორგიწმინდაში 1918 წლის 20 მაისს (დაბადების მოწმობის მიხედვით) გლეხის ოჯახში დაიბადა ანა (ანიკო) დიღმელაშვილი. მამა – გიგო დიღმელაშვილი და დედა – სოფიო ჭიაბერაშვილი მშრომელი, გამრჯე ადამიანები ყოფილან. ამქვეყნად მხოლოდ ერთი ძმა – დიმიტრი ჰყავდა, რომელიც 22 წლის ასაკში დიდ სამამულო ომში წავიდა და აღარ დაბრუნებულა.

ქალბატონი ანა სკოლიდანვე გამოირჩეოდა თავისი სიბეჯითით და შრომისმოყვარეობით. საგარეჯოს პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში დაუსწრებლად განაგრძო სწავლა და დაწყებითი კლასების კვალიფიციური მასწავლებელი გახდა.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მცირე ხნით მუშაობდა ნინოწმინდის რვაწლიან სკოლაში. შემდეგ კი 21 წლის გოგონა გომბორში გააგზავნეს სასწავლებლად. დღეს ანა მასწავლებელი ხშირად იგონებს, თუ რა ძნელი იყო ომიანობის პერიოდში ფეხით გომბორში სიარული. თანასოფლელ მედიცინის დებთან ერთად მოკლე გზებით, ტყის გავლით უხდებოდათ ფეხით მგზავრობა, რაც ძალიან საშიში იყო. ბევრჯერ საკუთარი ცხენითაც ასულა იქ. (თავის დროზე კარგ მოჯირითედ ითვლებოდა). გაკვეთილს არასოდეს გააცდენდა, არც დაიგვიანებდა. იცოდა, როგორი ინტერესით ელოდნენ თავისი მოსწავლეები.

შემდეგ სამუშაოდ პატარძეულის სკოლაში გადმოიყვანეს, სადაც 3 წელი მუშაობდა, იქიდან თავის სოფელში – გიორგიწმინდის რვაწლიან და შემდეგ საშუალო სკოლაში მუშაობდა დაწყებითი კლასების მასწავლებლად. ასევე, პარალელურად მუშაობდა სოფლების ანთოკმარიამჯვრის დაწყებით სკოლაში, სადაც ფეხით დადიოდა და ხშირად ანთოკის ხევის მოვარდნის დროს წყალდაწყალ უხდებოდა გზის გაკვალვა.

ძალიან ბევრი თაობა აღზარდა, შეასწავლა "დედა ენა", ქართული ენა და გზა გაუკვალა ცხოვრების ასპარეზზე. სკოლის პედაგოგიურ კოლექტივში ყველა აფასებდა და დიდი სიყვარულით სარგებლობდა.

სამშობლოს ძნელბედობის ჟამს სკოლის ბავშვებთან ერთად არაერთხელ გაუთენებია კომბაინს მორჩენილი მინდორში გაბნეული თავთავის და სიმინდის ტაროების საკრეფად. ამით მას და მის მოსწავლეებს დიდი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის და სოფლის კეთილდღეობის საქმეში, რაც მთავარი იყო, ბავშვებს სამშობლოს სიყვარულს და შრომისმოყვარეობას ასწავლიდა.

ანა მასწავლებელს პედაგოგიური მოღვაწეობის 54 წლიანი სტაჟი აქვს, დაჯილდოვებულია არაერთი საპატიო სიგელითა და მედლებით.

ჰყავს ერთი შვილი – გივი დიღმელაშვილი, რომელსაც მალე 70 წელი შეუსრულდება. რძალი ქალბატონი ნუნუ, რომელმაც ოთხი შვილი – სამი ბიჭი და ერთი გოგონა აჩუქა და 9 შვილიშვილი, 2 შვილთაშვილი, სულ 25 წევრია დღეს მათ ოჯახში. როდესაც ერთად იკრიბებიან, მათ მხიარულებას და დროსტარებას ბოლო არ უჩანს. რა თქმა უნდა, ოჯახის თავი და მმართველი ქალბატონი ანაა – მისი სიტყვა ხომ კანონია ყველასთვის.

მხოლოდ ერთ რამეზე სწყდება გული – პედაგოგებს სათანადო ანაზღაურება არ აქვთ და ამგვარად პედაგოგებს არც დაფასება და არც სათანადო პენსია არ აქვთ დანიშნული. – პედაგოგი უნდა იყოს პატივსაცემი და დაფასებულიო, - გულისტკივილით მითხრა.

მადლობელია უფლის, რომ საუკუნეს ორი წელი უკლია და ყველა კარგად და ბედნიერად გრძნობს მის გარშემო თავს.

რძლების სახელით ლალი დუგლაძე-დიღმელაშვილი – ბიძაშვილის შვილის მეუღლე ჩაგვერთო საუბარში და აღნიშნა, რომ ასეთი ენერგიული, ომახიანი, დაუზარელი, ხალისით სავსე დღეს ბევრი ახალგაზრდა ვერ იქნება. სულ მოფუსფუსეა, გაჩერებულს ვერ ნახავთ, რძლების ჭკუის დამრიგებელია. ყოველთვის ომახიანი ხმით გვესაუბრება. დიდი ხალისით ემზადება დაბადების დღის აღსანიშნავად თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

21 წლის ლაშა დიღმელაშვილი, ქალბატონი ანას შვილიშვილის შვილი შემოგვეგება ბებიასთან მისულებს. ძალიან გაუხარდა, რომ მისი 98 წლის ბებია კიდევ ახსოვთ და ყველა კეთილი სიტყვით იხსენიებს.

– ყველა შვილიშვილის და შვილთაშვილის გამზრდელია, ბავშვობიდან დიდი ხალისით გვიყვებოდა თავის თავგადასავლებს და ზღაპრებს. ყველას ძალიან გვიყვარს ბებია და ვემზადებით 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად. ჩვენს სახლში სულ მხიარულება და ხალხმრავლობააო, - მითხრა ღიმილით ლაშამ.

ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და 100 წლისთავის იუბილე გადაგვეხადოს სოფლის კოლორიტის და სოფლის ამაგდარი ადამიანისათვის.

აღზრდილთა სახელით

*მზია ოქრომჭედლიშვილი,*
***გამგებლის წარმომადგენელის თანაშემწე სოფელ გიორგიწმინდაში***

## ბოლო ზარი და ბოლო გამოცდები

**2014-2015** სასწავლო წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 410-მა მეთორმეტეკლასელმა სამუდამოდ გამოიხურა საჯარო სკოლის კარები. მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები 4 ძირითად საგანში და ახლა სხვა მიზნებისათვის იღწვიან. XII კლასელთა გამოშვების წლევანდელი რეკორდსმენი საგარეჯოს II საჯარო სკოლაა, სადაც 45-მა XII კლასელმა დაამთავრა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამა. ყველაზე მცირე რაოდენობით XII კლასელები ჰყავდათ შიბლიანისა და კოჭბანის საჯარო სკოლებს (3-3). უჯარმისა და მუღანლოს საჯარო სკოლებს კი საერთოდ არ ჰყავდათ დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში დამამთავრებელი XII კლასების კონტიგენტის სტატისტიკა კი ასეთია:

საგარეჯოს I საჯარო სკოლა – 41; II საჯარო სკოლა – 45, III საჯარო სკოლა – 8; IV საჯარო სკოლა – 39; ბადიაურის საჯარო სკოლა – 14; ბოგდანოვკის საჯარო სკოლა – 4; გიორგიწმინდის საჯარო სკოლა – 25; გომბორის საჯარო სკოლა – 6; დიდი ჩაილურის და დუზაგრამის საჯარო სკოლები – 10-10; თოხლიაურის საჯარო სკოლა – 9; იორმუღანლოს საჯარო სკოლა – 21; კაკაბეთის საჯარო სკოლა – 33; კოჭბანის, შიბლიანის საჯარო სკოლები 3-3; ლამბალოს საჯარო სკოლა – 11; მანავის საჯარო სკოლა – 22; ნინოწმინდის საჯარო სკოლა – 18; პატარა ჩაილურის საჯარო სკოლა – 15; პატარძეულის საჯარო სკოლა – 25; უდაბნოს საჯარო სკოლა – 15; ყანდაურის საჯარო სკოლა – 18; წყაროსთავის საჯარო სკოლა – 4; ხაშმის საჯარო სკოლა – 11.

## სკოლა ტრადიციებს აგრძელებს



**ამა** წლის 25-31 მარტის ჩათვლით ქ. თბილისში საქართველოს მასშტაბით ხელოვანთა კავშირმა „ხელოვანები მომავლისათვის" ჩაატარა კლასიკური მუსიკის მე-8 რესპუბლიკური ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები-2015". 27 მარტს ამ ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა: III კლასის მოსწავლემ ნია დიღმელაშვილმა (III კლასი, პედაგოგი თეა ხატიაშვილი), მარიამ საგინაშვილმა (III კლასი, პედაგოგი მარინა ურდულაშვილი), სალომე სიბოშვილმა (III კლასი, პედაგოგი ელზა ხიპაშვილი), თამაზ გოდერძიშვილმა (IV კლასი, პედაგოგი ნელი ყანჩაშვილი), მარიამ ესაიაშვილმა (III კლასი, პედაგოგი ნელი ყანჩაშვილი). მოსწავლეებმა წარმატებით გაართვეს თავი იმ რთულ დავალებას, რომელსაც აღნიშნული ფესტივალი აყენებდა მათ წინაშე, დაიმსახურეს ფესტივალის ჟიურის მოწონება და აღნიშნული ფესტივალიდან 14 მაისს უკვე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ გალა-კონცერტზე მოსული მსმენელის წინაშე საუკეთესო შესრულებით წარსდგნენ, რისთვისაც დაჯილდოვდნენ დიპლომებით და მიენიჭათ ლაურეატის წოდება საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისათვის, ხოლო სკოლის დირექტორს და გალა-კონცერტში მონაწილე მოსწავლეთა პედაგოგებს გადაეცათ დიპლომები მაღალი პროფესიონალიზმისა და წარმატებული მოღვაწეობისათვის.

ვულოცავთ საგარეჯოს ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექციას, პედაგოგიურ კოლექტივს, სკოლის მოსწავლეებს ამ წარმატებებს და ვუსურვებთ კვლავაც ესახელებინოთ ჩვენი რაიონი თავიანთი ნაყოფიერი მუშაობით, გაეგრძელებინოთ ის ტრადიციები, რასაც ამ სკოლის დამფუძნებელმა ბ-ნმა ჯემალ ბურჯანაძემ ჩაუყარა საფუძველი – წარმატებული და მოტივირებული საქმიანობა.

## ღია გაკვეთილი

### მაგალითი შთამომავლობას

„ **ყოველი** ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი ვიდრე იყავი", – ამბობს გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" მთავარი პერსონაჟი. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა გადავწყვიტე ჩამეტარებინა ღია გაკვეთილი მე-12 კლასთან. ამ კლასთან მუშაობა ჩემთვის, როგორც პედაგოგისათვის, ყოველთვის სასიამოვნო იყო. ისინი მთელი სერიოზულობით მეცადინეობდნენ მთელი სასწავლო წლის მანძილზე. ყველა მწერალი მათთვის იყო ახალი სამყარო, მაგრამ ჯემალ ქარჩხაძის ნაწარმოებმა „იგი" იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, რომ თვითონვე გამოთქვეს სურვილი მისი ანალიზი მოეხდინათ ტექსტის ძირფესვიანად შესწავლის შემდეგ მასწავლებელებისა და სტუმრების წინაშე. მე თვითონაც მაინტერესებდა, რამდენად ღრმად ჩასწვდებობდენ ამ მეტად თავისებური სტილით შექმნილ ფილოსოფიურ ნაწარმოებს. ჩემთვის არ იყო აღმოჩენა იმ შედეგისა, რაც იმ გაკვეთილზე ყველამ ნახა, მათ ბრწყინვალედ გააანალიზეს, თუ როგორ მოხდა იგის პიროვნების ევოლუცია, როგორ გახდა ნახევრად ველური, „ვიწროშუბლა" ადამიანი (თუ შეიძლება მას ადამიანი ვუწოდოთ) მოაზროვნე, წელგამართული არსება. ისინი თამამად აყალიბებდნენ თავიანთ მოსაზრებებს, არ უჭირდათ სწორი, გამართული მეტყველება, თავიანთი აზრის დასაბუთება სათანადო არგუმენტებით. ამ მიზნით იყენებდნენ სხვადასხვა კოგნიტურ სქემებს: ვენისა და T დიაგრამებს, ასოციაციურ რუკას, მასლოუს ადამიანთა მოთხოვნილებების პირამიდას და ა.შ. განსაკუთრებით კარგად გაანალიზეს ისეთი სერიოზული საკითხები, როგორებიცაა: სიკვდილის შემდეგ კვალის დატოვების აუცილებლობა, რამაც იგის აზროვნებაში უდიდესი გარდატეხა მოახდინა, სიკვდილისა და სიცოცხლის არსი, უფალთან მიახლოების გზები და ა.შ. მეტად საინტერესო პასუხები ჰქონდათ კითხვებზე: როდის ხდება პიროვნება საშიში საზოგადოებისათვის, როდის და რა პირობებში ეხსნება ადამიანს სულიერი ხედვა, რა მნიშვნელობა შეიძინა იგისათვის მანამდე შეუმჩნეველმა საგნებმა, თუ მოვლენებმა, როგორ გააქრო წუხილი თავის არსებაში, როგორ დაამარცხა ბელადი თავისი დანაწევრებული მეტყველებით, წელგამართულობითა და შემოქმედებითობით (უფალიც ხომ სილაზე ხატავდა), როგორ აჯობა სიკვდილს და როგორ იქცა თვით მიკროკოსმოსად (ადამიანიც ხომ მცირე მიკროკოსმოსია).



საინტერესო იყო დისკუსია თემაზე: კანონზომიერი იყო თუ არა იგის დაღუპვა. მოსწავლეებმა პარალელი გაავლეს ვაჟას ნაწარმოებებთან, ასევე გაიხსენეს ოთარ ჭილაძის „ადამიანი გაზეთის სვეტში", „თოლია ჯონათა ლივინგსტონი", იმსჯელეს როგორ ესმით თავისუფლება და გააკეთეს დასკვნა, რომ პროგრესის მისაღწევად მსხვერპლის გაღებაა საჭირო. ასეთი მსხვერპლნი კი ერთეულები არიან, ისინი ორიგინალური, განსხვავებული აზროვნებით წინ უსწრებენ საზოგადოების განვითარებას და თავიანთი ცხოვრებით მაგალითს აძლევენ შთამომავლობას.

მინდიაც ცრემლიანი თვალებით მიაცილებდა ალუდას, ისევე, როგორც ნი და ზუ. სწორედ ამას ეფუძნება იმედი, რომ მასში გაგრძელდება „ის, რაც იგიში იგი იყო". წინააღმდეგ შემთხვევაში, კაცობრიობის სულიერი პროგრესი შეუძლებელია....

ყველაფრის გვირგვინი კი კაცობრიობის ჯოჯოხეთის ბნელეთიდან ამოსაყვანად და სამოთხის ნათელში დასამკვიდრებლად ჯვარცმული მაცხოვარია. მის გზას მიუყვება მომავალი ალუდები, მინდიები და სხვები.

სიკვდილი ვერ თრგუნავს ასეთებს, რადგან ისინი კაცობრიობის მომავალს ამზადებენ, ისინი მუდმივად იბრძვიან ტირანიასთან, მაგრამ მათი ღვთაებრივი სული მთელ სამყაროს იტევს და ფლობს, რადგან სამყაროს შემქმნელი სულის ნაწილია. ვაჟას სიტყვების პერიფრაზი რომ გამოვიყენოთ მთლად მათ ეკუთვნით ქვეყანა....

*ნელი ქაიხოსროშვილი,*
***საგარეჯოს I საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი.***

## ჩემი მასწავლებელი

**გაზაფხული** ძალიან მიყვარს. ზამთრის ხანგრძლივი, ჩამქრალი ცხოვრება უცებ ხალისიანი ხდება. განსაკუთრებით მიყვარს მაისი – ვარდობის თვე. როცა ბუნებაში ვარდის სურნელი ტრიალებს და ირგვლივ ყველაფერი იღვიძებს.

ზუსტად ვარდობის თვესავით ლამაზი და მშვენიერია ჩემი საგარეჯო, ჩემი პატარა ქალაქი, სადაც თითქმის ყველა იცნობს ერთმანეთს და უყვართ კიდეც ერთმანეთი.

საგარეჯოში, აღმაშენებლის ქუჩაზე ერთ მყუდრო ეზოში დგას ნათელი და გრძელი შენობა, სადაც მომავალი თაობა სამუსიკო განათლებას იღებს.

ეს სკოლა ატარებს ღვაწლმოსილი პედაგოგის, უნიჭიერესი მუსიკოსის და და ყოველმხრივ განათლებული ადამიანის ბატონ ჯემალ ბურჯანაძის სახელს.

სკოლაში ბევრი კარგი მასწავლებელია, რომლებიც მართლაც დიდი მონდომებით ემსახურებიან მომავალი თაობის აღზრდას. მათ შორის არის ჩემი საყვარელი მასწავლებელი ქალბატონი მირცა ჯაფარიძე, რომელმაც შემაყვარა და შემასწავლა მუსიკა.



ქ-ნი მირცა უკვე დიდი ხანია მუშაობს მუსიკალურ სკოლაში. მას ჰყავს მშვენიერი ოჯახი და ჩვენი სახით ბევრი შვილები, რომლებსაც მართლაც დედობას გვიწევს. დედობრივი სიყვარულით გვიზიარებს თავის ცოდნას და გამოცდილებას, რომელიც წლების მანძილზე დაუგროვდა ბავშვებთან ურთიერთობით.

მე დამამთავრებელ კლასში ვარ. მალე დავამთავრებ ამ სკოლას. გული მწყდება, რომ იშვიათად შემეძლება ვნახო მუდამ უპრეტენზიო, თავის საქმეზე უანგაროდ შეყვარებული ადამიანი, რომელიც ყოველდღე დადის თბილისიდან იმისთვის, რომ ჩვენ – ბავშვებს მოგვეფეროს და შეგვაყვაროს მუსიკა, დიდი რუდუნებით და სიყვარულით შეგვასწავლოს თითოეული ნოტი, რომელიც არც თუ იოლი შესასწავლია ბავშვებისათვის.

ამიტომ მინდა, ჩემს შრომისგან დაღლილ და წლებისგან თმაშევერცხლილ საყვარელ მირცა მასწავლებელს ვუსურვო – დიდხანს ემსახუროს ბავშვებს და შეაყვაროს მათ მუსიკის ჰანგები.

მე ვფიქრობ, რომ მირცა მასწავლებლისნაირი ადამიანები ალამაზებენ ჩვენს ცხოვრებას. ამიტომ მინდა ვისურვო, რომ ასეთი ადამიანები ყველა სფეროში უმრავლოს საგარეჯოს.

*ნუცა როსტიაშვილი,*
***ჯ. ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლის VI კლასის მოსწავლე.***

## მართლმადიდებლობა

# ვინ იყო წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედი?



**22 მაისსა** და 19 დეკემბერს მართლმადიდებლური ეკლესია სადღესასწაულოდ იხსენიებს წმინდა ნიკოლოზს, რომელსაც საკვირველმოქმედი ეწოდება.

წმინდა ნიკოლოზი IV საუკუნის დასაწყისში, მცირე აზიის ნახევარკუნძულზე, ლუკიის მხარეს ქალაქ პართაში დაიბადა. მისი მშობლები – თეოფანე და ნონა, ღვთისმოშიშობით გამოირჩეოდნენ. მათ დიდხანს არ ეძლეოდათ შვილი, ამიტომ უფალს გულმხურვალედ შესთხოვდნენ, რომ მემკვიდრე ებოძებინა მათთვის. ცოლქმარმა ღვთის წინაშე აღთქმა დადო, რომ თუ შვილი მიემადლებოდათ, უფალს მიუძღვნიდნენ მას და ღვთისმსახურად აღზრდიდნენ. სულ მალე, მართლაც შეეძინათ ვაჟი, რომელსაც ნიკოლოზი უწოდეს, რაც მძლეველს ნიშნავს.

წმინდა ნიკოლოზის ცხოვრება, თავიდანვე სასწაულებით დაიწყო: დედამისი სნეული ქალი იყო, მაგრამ ყრმის შობისთანავე სრულიად განიკურნა; ნიკოლოზი ნათლობის დროს, 3 საათის მანძილზე ფეხზე იდგა ემბაზში (ნათლობის ჭურჭელი), ხოლო ოთხშაბათობით და პარასკეობით, დედის რძეს მხოლოდ მწუხრის ლოცვის შემდეგ იღებდა... ის სიყრმიდანვე ამჟღავნებდა სულიერებისადმი უდიდეს მისწრაფებას , შეიყვარა და ღრმად შეისწავლა საღვთო წერილი, თითქმის მთელ დღეებს ტაძარში ატარებდა, ღამით კი ლოცულობდა და "წმინდა წერილს" კითხულობდა. როდესაც ბიძამისმა - პართის ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა, მისი ესოდენი დაინტერესება შენიშნა, მედავითნედ დაადგინა, სულ მალე კი, მღვდლად აკურთხა.

მალე ეპისკოპოსი ნიკოლოზი პალესტინაში გაემგზავრა და თავისი ეპარქიის ზედამხედველობა დროებით, ძმისწულს დაავალა. ბიძის დაბრუნების შემდეგ , ნიკოლოზი თავად გაემგზავრა პალესტინაში წმინდა ადგილების მოსალოცად. გზად ნიკოლოზმა სასწაული მოახდინა: სულიწმინდის მადლით, იხილა ხომალდზე მყოფი ეშმაკი, რომელიც გემის ჩაძირვას ცდილობდა. ცოტა ხანში ცა მოიქუფრა და საშინელი თავსხმა დაიწყო. ნიკოლოზი ლოცვად დადგა და მოახერხა აღელვებული ზღვის დაცხრობა. მალე სტიქიაც მიწყნარდა.

იერუსალიმში ჩასულმა ნიკოლოზმა, წმინდა ადგილების მოლოცვის შემდეგ, გადაწყვიტა უდაბნოში გასულიყო სამოღვაწეოდ, მაგრამ ზეციდან უწყება მიიღო, რომ ხელი აეღო განზრახვაზე და მირონ-ლუკიაში დაბრუნებულიყო.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, წმინდანს თავად უფალი იესო ქრისტე გამოეცხადა და ძვირფასი თვლებით დამშვენებული , წმინდა "სახარება" გადასცა. მაცხოვართან ერთად, მან იხილა უფლის ყოვლადწმინდა მშობელი – მარიამიც, რომლისგანაც ომფორი მიიღო. ამ გამოცხადებიდან რამდენიმე ხანში, ნიკოლოზი მირონ-ლუკიის მღვდელმთავრად – მთავარეპისკოპოსად აირჩიეს.

მღვდელმთავარმა ნიკოლოზმა მონაწილეობა მიიღო 325 წელს გამართულ ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაში, სადაც რომის პაპ სილვესტრთან, სპირიდონ ტრიმიფუნტელთან და კრებაზე დამსწრე სხვა წმინდა მამებთან ერთად, სასტიკად ამხილა და შეეწინააღმდეგა ალექსანდრიელი ხუცის, მწვალებლობაში ჩავარდნილი არიოზის ცრუმოძღვრებას, რომელიც იმ ხანებში ფართოდ იყო გავრცელებული.

მიუხედავად წმინდა მამათა მხილებისა, არიოზი კრებაზე მაინც უტიფრად ამტკიცებდა თავისი ცრუმოძღვრების ჭეშმარიტებას, რამაც იმდენად ააღელვა ნიკოლოზი, რომ არიოზს კვერთხი ჩაარტყა. ამის გამო, ნიკოლოზი სამღვდელთმთავრო ხარისხიდან განაყენეს და საპყრობილეში ჩასვეს. კრებაზე დამსწრე რამდენიმე წმინდა მამას ზეგარდმო ჩვენებით ეუწყა, რომ ნიკოლოზი თავად უფალმა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა აკურთხეს მღვდელთმთავრად. ამით ნათელი გახდა, რომ მისი საქციელი არ ეწინააღმდეგებოდა უფლის ნებას, ამიტომ საპყრობილედან გამოიყვანეს და მღვდელთმთავრის ხარისხში აღადგინეს.

ნიკოლოზი მრავალგზის შესწევია განსაცდელში მყოფთ. მისი ლოცვის ძალით მრავალი ადამიანი გადაურჩა ზღვაში ჩაძირვას, მრავალიც განიკურნა მძიმე სენისგან: ბრმებისთვის თვალისჩინი დაუბრუნებია, ყრუთათვის – სმენა, უტყვთათვის - მეტყველება მიუმადლებია; სიღარიბესა და სიღატაკეში მყოფნი გაუმდიდრებია; ერთხელ, ლოცვის ძალით, მირონ-ლუკია შიმშილობისგან იხსნა.

ნიკოლოზი სიზმარში გამოეცხადა ზღვაში ხომალდით მიმავალ იტალიელ ვაჭარს, რომელსაც 3 ოქროს მონეტა მისცა, სთხოვა, რომ თავისი ხორბლით დატვირთული გემი მირონლუკიის ნავსადგურში შეეყვანა და ამ ქალაქის მცხოვრებთათვის მიეყიდა. როდესაც ვაჭარმა გამოიღვიძა, ხელში მართლაც, 3 ოქროს მონეტა ეჭირა და სიხარულით აღსრულა წმინდანის თხოვნა.

ნიკოლოზი ღრმად მოხუცებული აღესრულა. მირონ-ლუკიის საკათედრო ტაძარში მისი წმინდა ნაწილები წლების მანძილზე უხრწნელად იყო დაცული, მათგან წმინდა მირონი მოედინებოდა, რომლის ძალითაც, უამრავმა ადამიანმა მიიღო სასწაულებრივი კურნება.

წმინდანის წმინდა ნაწილები XI საუკუნეში, მირონ-ლუკიის სიონის ტაძრიდან იტალიის ქალაქ ბარიში გადაასვენეს, რადგან იმ დროს, ბიზანტიას არაბები შეესივნენ და ყველაფერი გაანადგურეს, მათ შორის მირონ-ლუკიაც. სიონის ტაძარს სულ რამდენიმე მონაზონი იცავდა, რადგან მტრის შიშით ქალაქის მოსახლეობა გახიზნული იყო. წმინდა ნიკოლოზი, იტალიის სამხრეთში, აპულიის ოლქში მდებარე ქალაქ ბარიში მცხოვრებ ერთ-ერთ მღვდელს გამოეცხადა და აუწყა: "წადი და აუწყე სამღვდელოებასა და ხალხს, რომ ჩემი წმინდა ნაწილები მირონლუკიიდან წამოიღონ და ამ ქალაქში დაასვენონ. უფალს არ სურს, იმ უდაბნოში დავრჩე". წმინდანის სურვილი აღესრულა. ეს მოხდა 1087 წელს.

ქალაქ ბარიში ჩაბრძანებული წმინდა ნიკოლოზის უხრწნელი ნაწილები, მის სახელზე აგებულ ტაძარში დაასვენეს მისთვის საგანგებოდ შეჭედილ, ძვირფასი თვლებით დამშვენებულ ვერცხლის ლუსკუმაში.

რამდენიმე ხნის შემდეგ, წმინდანი ერთ-ერთ მონაზონს გამოეცხადა და აუწყა, რომ მისი წმინდა ნაწილები ტრაპეზის ქვეშ დაეკრძალათ. მისი ნეშტი მართლაც, გადააბრძანეს ტაძრის საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზის ქვეშ, სადაც დღემდე განისვენებს.

## ხსოვნა



### რობიზონ (რობა) როსტიაშვილი

**ჩემი შვილი გაზაფხულზე გარდაიცვალა. იმ დღეებში წვიმიანი ამინდები იყო, მაგრამ, რობას გარდაცვალების შემდეგ იმ დღესვე აიშუქა და გამოვიდა მზიანი დღეები. იმის შემდეგ წვიმის დანახვაზე საშინელი ნოსტალგია მეძალება და ჩემი გულიდან ამოძახილი ტკივილი მახსენებს თავს.**

**ეს ამოძახილი ტკივილიანი და დარდმორეულია, რომელსაც შვილის მონატრება ჰქვია. ამ მონატრებამ შეიძლება ჭკუაზე შეშალოს მშობელი, როცა იცის, რომ მისი შვილი სამუდამოდ წავიდა და აღარასოდეს დაბრუნდება, აღარ შემოხსნის კარს და არ ჩაეხუტება დედას. ეს ძალზე მტკივნეულია და ძნელად ასატანი, მაგრამ ადამიანები ამ საშინელ ცხოვრებას ვაითა და უბედურებით მაინც ვუძლებთ.**

გაზაფხულის წვიმებია
და სიცივის შეგრძნება,
წვიმას მოსდევს გრილი სიო
და გონება მერევა.
მაგონდება ყველაფერი,
რაც ჩვენ გვაკავშირებდა,
როგორ ტკბილად გადიოდა
ცხოვრებისგან ნაბოძები,
ის ძვირფასი დღეები.
გაზაფხულის წვიმას ვხედავ
და ვიხსენებ იმ დღესაც,
წვიმას ამოფარებული
უცბად, რომ დამემალე,
წვიმის წვეთად გადიქეცი
და უცბად გამექეცი.
შენი წასვლით დაცხრა წვიმა
მზემაც გამოანათა.
კარგად მახსოვს ის დღე, შვილო,
წვიმა შეწყდა, შენ კი ისე
დაგიმშვიდდა გონება.
დამშვიდდი და გაინაბე,
ყველა დარდი მოგეხსნა.
შენ ღიმილი შეგრჩა, შვილო,
გაწარებულ სახეზე.
გაზაფხულის წვიმის ხმაზე,
მაგონდება მე ის დღე.
თუ როგორ გამექეცი,
წახვედი და იმ ქვეყანას
შეაფარე შენ თავი.
იმის მერე სულ დაგეძებ,
გზასთან ვდგევარ, გელოდები,
ყველა მხარეს შენ ჩრდილს ვხედავ,
მენატრები ძლიერ, შვილო!
წასვლით წვიმას რომ გაჰყევი,
წვიმა მოდის, ახლა მოდი,
მოდი, შვილო, ნიავს მოჰყევ
მოეფერე დედას კარგო!
ჩაეხუტე გულში, შვილო,
ჩემი გული მუდამ გელის.
მოდი შვილო, ჩემთან მოდი,
გინდ წვიმაში, გინდაც მზეში,
ოღონდ მოდი, გამახარე
სამუდამოდ ნუ დამტოვებ.
მოდი, შვილო, მე სულ გელი,
დღისით მოდი, ღამით მოდი,
ნიავს მოჰყევ, ნაზად მქროლავს
ჩაეხუტე დედას ტკბილად.
წვიმის წვეთად მოირბინე,
დაუნამე დედას სახე.
აგრძნობინე შენი მოსვლა,
გაზაფხულის წვიმასავით
მუდამ ანცო და ხმიანო.
წვიმა მოდის და შენც მოდი,
მოდი შვილო, დედა ნახე,
გული გაუმხიარულე.
იცი, როგორ მენატრები
პაწაწინა წვიმის წვეთო,
ჩემთვის დიდო ტკივილო.
მენატრები, გენაცვალე,
მუდამ დაგელოდები.
წვიმის ხმას რომ გავიგონებ
უფრო გავინაბები.
შენ წვიმასთან წახვედი და
იქნებ ისევ მას მოჰყვე.
დედა გელის, საყვარელო
და სულ დაგელოდები.
შენ წვიმასთან წახვედი და
იქნებ ისევ მას მოჰყვე.
მე კი ისევ მინდა გნახო,
და მაგრად ჩაგეხუტო.
შენ წვიმასთან გამექეცი
წახველ უმისამართოდ,
როგორ მინდა დაგინახო
და ტკბილად ჩაგეხუტო,
მაგრამ ამას ვერ ვახერხებ,
ვერსად ვერ მოგაგენი.
შენ წახვედი ჩუმად, ნელა,
გაიხურე კარები.
ნეტავ, შვილო, რა იფიქრე
ასე რად გამამწარე?!
ახლა გაზაფხულია და
წვიმებია შხაპუნა,
მოდი, შვილო, გენაცვალე,
რა ძლიერ მენატრები,
ცხადში თუ არ გამოჩნდები,
სიზმრად მოდი, ხშირად მოდი,
თორემ გული მეწვება და
თავს ვერაფერს ვუხერხებ,
რომ ვერ გხედავ, ჩემო კარგო
მთლად ჭკუაზე ვიშლები,
ნუ მაცხოვრებ იმ სიმწარით
მონატრება რომ ჰქვია!
ვებრძვი ჩემს თავს –
ვერ ვივიწყებ იმ წვიმიან დილას!
ჩემს თვალებშიც წვიმაა
და გონებაში ბინდი,
როგორ მინდა დავივიწყო,
დავიმშვიდო გული,
მაგრამ, როგორ მოვახერხო,
რა ვუშველო ტკივილს!
რაც დრო გადის, გენაცვალე,
მით ძლიერ მენატრები,
მენატრები ჩემო კარგო,
მენატრები ძალიან!
წვიმის წვეთებს ვაკვირდები,
გეძებ უმისამართოდ,
იქნებ სადმე დაგინახო,
მეც გამოგყვე უკან,
რადგან ისევ ერთად ვიყოთ
არ გაგვყაროს წვიმამ,
მაგრამ, მაინც მოახერხა,
მოახერხა და გაგვყარა
გაზაფხულის წვიმამ.
მოახერხა დაგვაშორა,
დედა-შვილი ერთურთს,
შენ წახვედი შენი გზით
და აქ მე დავრჩი მარტო.
ვიყურები აქეთ-იქით
მაინც გელოდები!
ასე გავლევ აქ დარჩენილს
ჩემს საშინელ დღეებს,
მერე მეც მანდ წამოვალ
და ვნახავთ ჩვენ ერთმანეთს!!!

*მანანა ქოქიაური-როსტიაშვილი,*
***საგარეჯო***

# წმინდა შიო მღვიმელის სასწაული



**ერთ** მდიდარ და წარჩინებულ კაცს, გიორგის, ბერწი ცოლი ჰყავდა. ევედრებოდნენ ისინი ღმერთს, რომ მიეცა მათთვის შვილი. ერთხელ წავიდა გიორგი შიომღვიმის მონასტერში ამაღლების დღესასწაულზე. რადგანაც შიოს ხსენების დღე მოახლოებული იყო, დააყოვნა იქ რამდენიმე დღე. შიოს ხსენების დღეს მოვიდა მისი ცოლიც მონასტერში, მივიდა შიოს გამოქვაბულში, მონასტრის გალავნის გარეთ, სადაც წმინდა ბერი თავდაპირველად მოღვაწეობდა და ღამე ლოცვაში გაატარა. ევედრებოდა ღმერთს შვილების ბოძებას. ქმარმა არაფერი იცოდა ცოლის მოსვლისა და ძაძით მოსილი იდგა მღვიმესთან, სადაც არის შიოს საფლავი, და ევედრებოდა წმინდა შიოს. მიეძინა ლოცვაში და ძილში ჩაესმა ხმა, რომელიც უბრძანებდა წასულიყო შიოს გამოქვაბულში, მონასტრის კარიბჭის გარეთ და იქ ელოცა. ადგა გიორგი და წავიდა, მაგრამ ჭიშკარი დახშული დახვდა. გააღვიძა მეკარე, მოიმიზეზა რაღაცა და გავიდა გარეთ. გამოქვაბულში მისულმა თავისი ცოლი ნახა, მაგრამ ვერ იცნო, რადგან ბნელოდა. ქალმაც ვერ იცნო ქმარი, რადგან კაცს ძაძა ემოსა და ცოლს მონასტრის ბერი ეგონა. ასე ლოცულობდნენ გვერდიგვერდ. შემდეგ გავიდნენ ორივენი გარეთ, შორიშორ დაწვნენ და დაიძინეს. კაცს გამოეცხადა ძილში შიო და უბრძანა, თუ შვილის ყოლა გსურს, მძინარე ქალთან დაწექიო, მაგრამ კაცს ეს ხილვა ეშმაკის ცდუნება ეგონა. მეორედ და მესამედაც გამოეცხადა შიო ხელში ჯვრით და იგივე უბრძანა. მაშინ ადგა კაცი ცრემლების ღვრით და სირცხვილით დაწვა მძინარე ქალთან. ხოლო ქალს ღმერთმა მტკიცე ძილი გამოუგზავნა და როდესაც თანაეყო მას კაცი, მხოლოდ მას შემდეგ გაიღვიძა და დაიყვირა. შეშინებული კაცი გაიქცა, რომ ქალის მცველებს არ დაეჭირათ, შევიდა მონასტრის ჭიშკარში და გოდებდა საქორწინო სარეცელის შეგინების გამო. ასევე შეწუხებული და შერცხვენილი ქალი მაშინვე წავიდა შინ. რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა გიორგიც და ერიდებოდა ცოლის საწოლს. ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ქალი მიხვდა, რომ ფეხმძიმედაა და სირცხვილით და ცრემლით გამოუტყდა ქმარს, თუ რა შეემთხვა. მაშინ ქმარმაც უამბო თავისი ამბავი, განიხარეს ორივემ ამ სასწაულის გამო და მადლობდნენ ღმერთს. ხოლო იმავე ღამეს გამოეცხადა ორივეს ძილში შიო და უთხრა, რომ ეყოლებოდათ ძე, რომელსაც უნდა უწოდონ იოანე და ღმერთს შესწირონ, რადგან გამოირჩია იგი ღმერთმა. ასეც მოხდა. ათი წლის მიიყვანეს შიომღვიმის მონასტერში და შეჰვედრეს ღმერთს და ეს ყრმა გახდა ქართლის კათალიკოზი.

# მილოცვა



**მღვდლად** კურთხევიდან 30 წლის იუბილეს ვულოცავთ ***ჩვენს საყვარელ მოძღვარს, საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათერო ტაძრის წინამძღვარს* დეკანოზ მირიანს (არდაზიშვილი).** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მრევლის სიყვარულს, ოჯახის სიძლიერეს – შვილებისა და შვილიშვილების სიმრავლეს, ქვეყნის გამთლიანებას და გაძლიერებას.

თქვენი ლოცვა-კურთხევა არ მოგვკლებოდეს, მამა მირიან!

*საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მრევლი*

**მღვდლად** კურთხევიდან 30 წლის შესრულებას ვულოცავთ ***საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის მოძღვარს* – დეკანოზ მირიან არდაზიშვილს.** 30 წელი ღვთისა და მრევლის სამსახურში ყოფნა, ქრისტეს გზით ქრისტესმიერი სიყვარულით სიარული ადვილი არ არის. თქვენ ღირსეულად, დიდი სიყვარულით და რუდუნებით მიგყავთ მრევლი იმ გზით, რომელსაც ქრისტეს, მამულის, ენის, ყოველივე ქართულის, ტრადიციულის, სიყვარულის და დიდების სახელი ჰქვია. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ კვლავაც უფლის სადიდებლად და დღესაც და მომავალშიც თითოეული ქრისტიანისათვის სწორი, მიზანმიმართული გზის საჩვენებლად!

*მღვდელი გიორგი პავლოვი,*

***გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მოძღვარი, ტაძრის მრევლი***

# ანსამბლმა „ჩინარმა“ მაყურებელს სიყვარული აუხსნა



**მაისის** ლამაზ დღეს ქ. საგარეჯოს კულტურის სახლის მცირე დარბაზში ქალთა სახალხო ანსამბლ "ჩინარის" შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

ქალთა სახალხო ანსამბლი „ჩინარი“ შეიქმნა 1984 წელს, ხელმძღვანელია რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი ნელი გულიკაშვილი. ანსამბლს მონაწილეობა აქვს მიღებული მსოფლიოს მუსიკალურ ფესტივალებში, 1991 წელს ანსამბლი დაჯილდოვდა ვერცხლის ლირით და დიპლომით. 1996 წლიდან ანსამბლს მიენიჭა „სახალხო ანსამბლის“ წოდება.

კონცერტზე მოსული მსმენელი სულგანაბული უსმენდა ანსამბლის ხელმძღვანელის მიერ შედგენილ ახალ რეპერტუარს, რომელშიც ის ლამაზი სიმღერებია შესული, დღესაც რომ აღაფრთოვანებს, ატკობს, ათბობს მსმენელს და კიდევ ერთხელ შეახსენებს ქართული სიმღერის სილამაზეს, მის განუმეორებლობას. „ჩინარის“ ის გოგონები, რომლებიც 30 წლის წინ გაიცნო მსმენელმა, ახლა შვილებთან ერთად უმღეროდნენ საქართველოს, მშობლიურ საგარეჯოს, სიყვარულს, აცოცხლებდნენ ძველ სიმღერებს.

კონცერტის დასასრულს მსმენელს ანსამბლის ხელმძღვანელმა ნელი გულიკაშვილმა მიმართა. როგორც მან აღნიშნა, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისეული სირთულეების გამო, გვაკლია სიყვარული და სითბო. ამ კონცერტის ლაიტმოტივი იყო – გვიყვარდეს ერთმანეთი და მოსაწვევზე წარწერა, „მიყვარხარ!“ კიდევ ერთხელ გვიხსნიდა და შეგვახსენებდა, რომ ჩინარის გოგონებს და მის ხელმძღვანელს უყვარს თავისი მსმენელი.

## სარეკლამო კომპანია გთავაზობთ:

**ფერად** ბეჭდვას მაისურზე, ჭიქაზე, კეპზე, ასევე სავიზიტო ბარათებს, ფლაერებს, სარეკლამო ჩვეულებრივ და თვითწებად a4 და a3 ფორმატის ფერად პლაკატებს, ბანერებს - გერმანული „არაკალის" მეშვეობით. თვითწებვად სტიკერებს, ეტიკეტებს და მრავალი სხვა

დაწვრილებით ინფორმაცია საიტზე www.madstudio.ge ტელ 597.717.889. საგარეჯო

## სპორტი

### ჭადრაკი

# ამჯერად ჭადრაკის ფედერაციის თასი

**8-17 მაისს** თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თასის გათამაშება 8-10-12 წლიან ჭაბუკებსა და გოგონებში, რომელშიც აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ 6 აღსაზრდელი იღებდა მონაწილეობას. ესენია ჩვენთვის ცნობილი ნორჩი მოჭადრაკეები: ნიკოლოზ კევლიშვილი, ლევან დალბაშვილი, გიგი ივანელაშვილი, ზუკა გამრეკელაშვილი, ლუკა ტიგინაშვილი და ნინო ესაიაშვილი.

ტურნირზე წარმატებით იასპარეზა და 12 წლიან ჭაბუკებში ჩემპიონობა და ჭადრაკის ფედერაციის თასის მოპოვება იზეიმა მწვრთნელ ირაკლი ქვლივიძის აღსაზრდელმა ნიკოლოზ კევლიშვილმა. ნიკა ხუთი მოგებითა და 4 ყაიმით მიუწვდომელი გახდა ყველა მეტოქისათვის.

10 წლიან ჭაბუკებში ასევე წარმატებით იასპარეზა ელენე ფარეშიშვილის აღსაზრდელმა ლევან დალბაშვილმა, რომელსაც სულ ცოტა დააკლდა თასის მოსაპოვებლად. ბოლო სამ ტურში ყაიმების შედეგად იგი კოეფიციენტით მეორე ადგილზე გავიდა.

10 წლიან ჭაბუკებში 5.5 ქულა დააგროვა გიგი ივანელაშვილმა. ამდენივე ქულა დააგროვა ზუკა გამრეკელაშვილმა 8 წლიან ვაჟებში. იგივე ასაკის გოგონებში 4.5 ქულის მოპოვება შეძლო ნინო ესაიაშვილმა.

ჭადრაკის სასახლეში ჩატარებული თასის გათამაშების ჩემპიონი და ვიცე ჩემპიონი სხვა ჯილდოებთან ერთად დასაჩუქრდნენ ფულადი ჯილდოებით შესაბამისად 400 და 250 ლარით.

*გ. დაბახიშვილი*

### ჭიდაობა

# არსენ მეკოკიშვილის სახელობის ტურნირი

**17 მაისს** საგარეჯოს სპორტდარბაზში ჩატარდა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის არსენ მეკოკიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკ მოჭიდავეებს შორის. შეჯიბრება ჩატარდა ორ ასაკობრივ ჯგუფში. პირველ დღეს იჭიდავეს 1999-2000 წლებში დაბადებულმა მოჭიდავეებმა. ამ ასაკში საგარეჯოდან ჩემპიონები გახდნენ დავით მარტაშვილი (69კგ. წონითი კატეგორია) და მიხეილ ბოჭორიძე ((76 კგ. წონითი კატეგორია). მესამე ადგილი დაიკავა ომარ მათიაშვილმა. სპორტგაერთიანების მიერ დაწესებული იყო არსენ მეკოკიშვილის სახელობის პრიზი, რომელიც გადასცა მისმა შვილმა გოგი მეკოკიშვილმა მძიმე წონაში გამარჯვებულ თბილისელ ზურა ტაბატაძეს. ასევე დაწესებული იყო ლევან თედიაშვილის სახელობის პრიზი, რომელიც დაიმსახურა საგარეჯოელმა მიხეილ ბოჭორიძემ, რომელიც გამარჯვებულს გადასცა თვითონ ლევან თედიაშვილმა. მანვე გადასცა მიხეილს ფულადი ჯილდო.

მეორე დღეს – 18 მაისს ჩატარდა 2001-2003 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა . ამ წლოვანებში საგარეჯოდან ჩემპიონები გახდნენ გიგი ქურხული (35 კგ. წონითი კატეგორია)), რომელსაც ოქროს მედალთან ერთად ლევან თედიაშვილმა გადასცა თავისი სახელობის პრიზი და ფულადი ჯილდო. 47 კგ. წონითი კატეგორიაში ჩემპიონი გახდა საგარეჯოელი ბაჩო ქვლივიძე, რომელსაც არსენ მეკოკიშვილის სახელობის პრიზი გადასცა მისმა ვაჟმა გოგი მეკოკიშვილმა. ამ ასაკის მოჭიდავეებში მეორე ადგილი დაიკავა თორნიკე ასაბაშვილმა, მესამე ადგილი – შალვა გულისაშვილმა (ორივე 26 კგ წონითი კატეგორია).

შეჯიბრებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები – მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორი გურამ საღარაძე, ევროპის ჩემპიონი ნოდარ მოდებაძე, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, ევროპის ოთხგზის ჩემპიონი გივი ონაშვილი. შეჯიბრების მთავარი მსაჯი კი იყო მრავალი წლის განმავლობაში სსრკ ნაკრების წევრი, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ტარიელ როსტომაშვილი. შეჯიბრებაზე გურამ საღარაძემ ჩამოიტანა თავისი საიუბილეო მედალი, რომელიც გადასცა 69 კგ. წონითი კატეგორიაში გამარჯვებულ საგარეჯოელ დავით მარტაშვილს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მიერ (უფროსი ნიკო ჯავახიშვილი) დაწესებული იყო პრიზი, რომელიც გადაეცა რუსთაველ გამარჯვებულ გიორგი ნებურიშვილს.

ტურნირის გამარჯვებულებს წარმატებები მიულოცათ თავისუფალი სტილის საგარეჯოელმა მოჭიდავემ, ევროპის ჩემპიონმა 23 წლამდე მოჭიდავეთა შორის ზურაბ ერბოწონაშვილმა და პრიზები გადასცა მათ.




# უდაბნოელი ძიუდოისტები

**უდაბნოს** ძიუ-დოს სექციაში (მწვრთნელები: ლაშა ფირცხელანი და ირაკლი დადვანი) 38 მოსწავლეა გაერთიანებული. მათგან 5 საბავშვო ბაღის აღსაზრდელია. ნორჩი ძიუდოისტები სოფლის საჯარო სკოლის შენობაში არსებულ სპორტულ დარბაზში ვარჯიშობენ – აქტიურად, მიზანმიმართულად და შედეგიანადაც. მწვრთნელები იმ ძიუდოისტებს მისახელებენ, რომლებიც რაიონულ პირველობებზე ხშირად მონაწილეობენ და კარგ შედეგებსაც აღწევენ. ისინი ასევე წარმატებულად ამთავრებენ ორთაბრძოლებს ტურნირებში, სადაც მხოლოდ რაიონის თანატოლ ძიუდოისტებს კი არა, კახეთის, ქართლისა და თბილისის ძიუდოისტებსაც ხვდებიან და ეცნობიან. მწვრთნელებს უჭირთ პერსპექტიული მოჭიდავეების დასახელება, რადგან 38-ვე მოსწავლე გამარჯვებისათვის ისეა მოტივირებული, ალბათ ყველას ჩამოთვლა დასჭირდებათ, მაგრამ მაინც გამოყოფენ – 2002 წელს დაბადებულ იაგო გულბანს, რომელიც I ან II ადგილს იკავებს ხშირად რაიონულ პირველობაზე. ასევეა მისი თანატოლი მახარე გულბანი, რომელიც წინა რაიონულ პირველობაზე I ადგილი დაიკავა. მათი თანატოლია ვიტალი კოსიაშვილიც, ხოლო 2004 წლიანებში ირაკლი იოსელიანი, ნიკა ხაჭვანი, გიორგი არღვლიანი კარგ შედეგებს აღწევენ.

უდაბნოელი ნორჩი ძიუდოისტები მართალია ამჟამად, როგორც აღვნიშნეთ, სკოლის სპორტდარბაზში ვარჯიშობენ, მაგრამ მალე სოფლის საბავშვო ბაღიდან ახალ შენობაში მოუწევთ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს გადასვლა და გამოთავისუფლებულ შენობაში ძიუდოს სექციის მოსწავლეებისათვის გამოიყოფა ფართი, შერემონტდება და სავარჯიშოდ ინვენტარსაც შეიტანენ. მათ ამას წინათ უდაბნოელმა დათო ასუმბანმა რამდენიმე წყვილი ქართული ჩოხა აჩუქათ, ასეთივე საჩუქარი – სამი წყვილი ქართული ჩოხა მათ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექტორმა გიორგი მაისურაძემ მომავალი გამარჯვებების, წარმატებების სურვილით აჩუქათ.

წარმატებები პატარა ძიუდოისტებს

გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის (მოძღვარი მღვდელი გიორგი პავლოვი) მრევლი ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე ტაძრის მრევლის, შესანიშნავი ქართველის, ჭეშმარიტი მამულიშვილისა და ქრისტიანის

**დავით კვერაშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის მეუღლეს – ლეილას, შვილს – რამაზის და რძალს – ნინოს, დებს – ლიას, ციალას, თამარს და ყველა მის ჭირისუფალს. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს.

ნუგზარ და მარინა იმედაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ გივი ქვათაძეს მეუღლის

**ზაირა კეშელავას**

გარდაცვალების გამო.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru